ევროკავშირი
საქართველოსთვის

# ინკლუზიური განათლების მონიტორინგი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

## კვლევის ანგარიში

**ავტორი: თამარ მახარაძე**

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და, შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

**საქართველოს სახალხო დამცველი 2024**

## სარჩევი


1. შესავალი ..... 4
2. სამართლებრივი საფუძველი ..... 5
3. დოკუმენტის მიზანი ..... 10
   3.1 საკვლევი საკითხები ..... 11
4. მეთოდოლოგია ..... 11
   4.1 გამოყენებული მეთოდები ..... 12
   4.2 კვლევის პროცესის აღწერა ..... 13
5. კვლევის შედეგები ..... 13
   5.1 ძირითადი მიგნებები ..... 13
   5.2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენა და გათვალისწინება სასწავლო პროცესში ..... 15
   5.3 შშმ სტუდენტების ჩართულობა, ექსტრაკურიკულურ აქტივობებსა და უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობა ..... 23
   5.4 უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების დამოკიდებულება შშმ პირთა სოციალური ინკლუზიისა და ინკლუზიური განათლების მიმართ ..... 24
6. ქართული და ევროპული უნივერსიტეტების პრაქტიკის მიმოხილვა ..... 27
7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მისაწვდომობა ..... 35
   7.1 შეღწევადობა ..... 36
   7.2 მისაწვდომი სვლაგეზები; გზა - კიბეები და სახელურები ..... 39
   7.3 იატაკი ..... 41
   7.4 გზა-კარები და დერეფნები ..... 42
   7.5 პანდუსი ..... 43
   7.6 საევაკუაციო გზები და გასასვლელები ..... 44
   7.7 ტუალეტები ..... 45
   7.8 ლიფტები ..... 46
   7.9 ინფორმაციის მისაწვდომობა ..... 47
   7.10 ბიბლიოთეკების მისაწვდომობა ..... 49
   7.11 სასწავლო მასალების ადაპტირება უსინათლო და მცირემხედველი სტუდენტებისთვის. ..... 49

7.12 სასწავლო მასალის და გარემოს ადაპტირება ყრუ და სმენის პრობლემების მქონე სტუდენტებისთვის ..... 50
7.13 ამოცნობადი გამაფრთხილებლები ..... 50
7.14 სპორტული ობიექტები ..... 50
7.15 საცხოვრებელი ერთეულები ..... 51
7.16 პარკირება ..... 52

# 1 შესავალი

მსოფლიოში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყებასთან ერთად, ინკლუზიური განათლების დანერგვა ბევრი ქვეყნისთვის აქტუალური გახდა. ეს პროცესი საქართველოში 2005 წლიდან, საჯარო სკოლებით დაიწყო. წლების განმავლობაში ძირითადი აქცენტი მხოლოდ სკოლებზე კეთდებოდა - გაიმართა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, შეიქმნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა დაფინანსების სისტემა, მნიშვნელოვანი ძალისხმევა იყო გაწეული საჭირო ადამიანური რესურსების მომზადებაზე. ამას ლოგიკურად მოჰყვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) სტუდენტების რაოდენობის ზრდა,[1] თუმცა ინკლუზიური განათლების ხარისხი გამოწვევად რჩება, რაც არაერთი კვლევით დასტურდება,[2] მათ შორის, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშითაც.[3]

სასკოლო და პროფესიული განათლებისგან განსხვავებით, უმაღლესი განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების განვითარებისკენ გადადგმული სისტემური ნაბიჯები თითქმის არ გვხვდება. საკანონმდებლო დონეზე, გარდა იმ საერთაშორისო და ადგილობრივი კანონებისა, რომლებიც ზოგადად ავალდებულებს სახელმწიფოს უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, მნიშვნელოვანი დოკუმენტია „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები“, რომელიც უშუალოდ ავალდებულებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო შეუქმნას სტუდენტებს  და დაეყრდნოს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას. თუმცა, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული ეს პროცესი - ერთიანი, სისტემური მიდგომა არ არსებობს. უნივერსიტეტები ინდივიდუალურად მუშაობენ ინკლუზიური განათლების განვითარებისთვის. ამ მიმართულებით ჩატარებულ მცირერიცხოვან კვლევებში ჩანს, რომ სსსმ სტუდენტები უნივერსიტეტებში ხვდებიან როგორც მნიშვნელოვან ფიზიკურ,

---

[1] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, დღეს 12 000-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა რეგისტრირებული სკოლაში, ხოლო პროფესიულ სასწავლებლეში 300-მდე სსსმ სტუდენტი სწავლობს.

[2] მახარაძე, თ., აბაშიძე, თ. ქიტიაშვილი, ა. მარკოვსკა-მანისტა, უ. და ლაუბერ-პოლი, ს (2019) ინკლუზიური განათლების მარდამჭერი სერვისების  გაუმჯობესება - კვლევის ანგარიში, თსუ-ის გამომცემლობა. დოკუმენტი მისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.undp.org/ka/georgia/publications/inkluziuri-ganatlebis-mkhardamcheri-servisebis-gaumjobeseba-2019 ბოლოს ნანახია [07.12.2023].

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი ( 2019) საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლებისა და მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი http://inclusion.ge/res/docs/201806151459088740.pdf

[3] საქართველოს სახალხო დამცველი (2019) ინკლუზიური განათლება საპილოტე საჯარო სკოლებში მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://ombudsman.ge/res/docs/2019061419175345379.pdf.

ისე სოციალურ ბარიერებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სსსმ სტუდენტების სტატისტიკას არ ამუშავებს, რადგან არ იღებს შესაბამის მონაცემებს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისგან, რომლებიც თავის მხრივ ამ სტატისტიკას არ აწარმოებენ.

რელევანტური კვლევებისა და დამხმარე ლიტერატურის ნაკლებობა ნათელს ხდის, რომ მეტად აქტუალურია იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების განვითარებაზე და აუცილებელია მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება ამ მიმართულებით უნივერსიტეტების გასაძლიერებლად.

## 2 სამართლებრივი საფუძველი

საქართველოში განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება კონსტიტუციით არის უზრუნველყოფილი. ქვეყნის უზენაეს კანონშივეა შექმნილი გარანტიები შშმ პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ევალება, შექმნას განსაკუთრებული პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.[4] თუმცა, საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც ინკლუზიურ განათლებას სპეციფიკურად უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებებს აკავშირებს, მწირია და ძირითადად უკავშირდება მისი ავტორიზაციის სტანდარტებს. თუმცა, არსებობს ის რელევანტური ზოგადი დოკუმენტები, რომლებიც განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფას ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე ავალდებულებს სახელმწიფოს.

მნიშვნელოვანია, რომ კვლევის მონაცემები გაანალიზებული იყოს შემდეგ დოკუმენტებთან მიმართებით:

***1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2006 წელს მიღებული შშმ პირთა უფლებების კონვენციის*** 24-ე მუხლი - „განათლება“, გულისხმობს მონაწილე სახელმწიფოებში ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობის უზრუნველყოფას - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ზოგადი უმაღლესი, პროფესიული, ზრდასრულებისთვის განკუთვნილი კურსებისა და უწყვეტი განათლების თანაბარ მისაწვდომობას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“. გაეროს შშმ პირთა კონვენცია საქართველოში ძალაშია 2014 წლიდან.[5] აღსანიშნავია, რომ კონვენციით აღიარებული განათლების უფლება მჭიდროდ უკავშირდება კონვენციის

[4] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27 და მუხლი 11. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/download/30346/36/ge/pdf

[5] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 24. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/download/2334289/0/ge/pdf

ერთ-ერთ მთავარ პრინციპსა და უფლებას - მისაწვდომობას. განათლების უფლება ასევე აუცილებლად უნდა განიხილებოდეს გონივრული მისადაგების ჭრილში.[6]

***2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი[7]*** - განათლებისა და მეცნიერების ერთიანი 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგია ინკლუზიურ და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას აკავშირებს მდგრადი განვითარების (SDGs) შემდეგ მიზნებთან: მიზანი 4 – ხარისხიანი განათლება; მიზანი 8 – ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; მიზანი 9 – მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 16 – მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

***3. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის*** მე-8 მუხლი - „განათლება" - სახელმწიფოს ავალებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ზოგადი, პროფესიული და უწყვეტი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.[8]

***4. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ"[9] საქართველოს კანონის*** მიზანია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა". დოკუმენტის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის გ.გ ქვეპუნქტის მიხედვით, თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება განათლების ხელმისაწვდომობაზე.

***5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები[10]*** - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის აუცილებლობაზე მითითებულია დოკუმენტის მე-3 და მე-7 სტანდარტებში.

- *მე-3 სტანდარტი* - „საგანმანათლებლო პროგრამები" - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან (უსდ) ითხოვს სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, თუ ამის საჭიროებაა - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმების

---

[6] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 9 და მუხლი 2. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/download/2334289/0/ge/pdf

[7] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლის განკარგულება №2328, https://www.gov.ge/files/524_74242_575286_2328.pdf

[8] საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, მუხლი 8 და მუხლი 27. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/download/4923984/1/ge/pdf

[9] საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3

[10] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, მე-3 და მე-7 სტანდარტი https://eqe.ge/res/docs/N3_7.02.2018.pdf

მიხედვით უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინიებას და შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში“. შეფასების კრიტერიუმად მიჩნეულია „სწავლა სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზება, სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა“.

- *მე-7 სტანდარტში* - „მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები“, 7.1 პუნქტში - მატერიალური რესურსები - უსდ-ს მოეთხოვება ჰქონდეს ადაპტირებული გარემო სსსმ პირებისთვის და შემდგომი განვითარების გეგმა. შეფასების კრიტერიუმად კი მიჩნეულია:
  - სსსმ პირებს შეუძლიათ შენობაში თავისუფლად ორიენტაცია და გადაადგილება;
  - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებზე, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებსა და მოთხოვნებზე, ასევე წვდომა აქვთ უსდ-ს და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;
  - სსსმ პირებისთვის არსებობს შესაბამისად მოწყობილი სანიტარიული კვანძი;
  - შენობის მიმდებარედ არსებობს ავტოსადგომი შშმ პირებისთვის, საიდანაც შეუფერხებლად არის შესაძლებელი შენობამდე მიღწევა.

***6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი 2022-2030 წლების სტრატეგიასა და მისი 2022 – 2024 წლების სამოქმედო გეგმაში***[11] საგანგებოდ არის მითითებული, რომ საქართველოში არახელსაყრელ პირობებში მყოფი ჯგუფები, მათ შორის შშმ პირები, აწყდებიან „ხარისხიანი განათლებისა და გადამზადების სერვისებთან და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისა და განვითარების შესაძლებლობის მისაწვდომობის პრობლემას“. ასევე აღნიშნულია, რომ ამ ჯგუფებისთვის გამოწვევას წარმოადგენს განათლების მიღება უმაღლესი განათლების საფეხურზე. დოკუმენტის სექტორული პრიორიტეტი II – „თანასწორობა, ინკლუზია და მრავალფეროვნება“ მიზნად ისახავს თანასწორი, ინკლუზიური და მრავალფეროვანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარებას, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ მიზანმიმართული მხარდაჭერის გაძლიერებას. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით დასახულია შემდეგი მიზანი და ამოცანები:

[11] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2022 – 2030 და მისი 2022 – 2024 წლების სამოქმედო გეგმა. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5557675?publication=0

- მიზანი 2.4: ხარისხიან და ინკლუზიურ უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის და წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.
- ამოცანა 2.4.1: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიზნობრივი მხარდამჭერი სერვისების განვითარება არახელსაყრელ პირობებში მყოფი სტუდენტებისთვის.
- ამოცანა 2.4.2: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში თითოეული სტუდენტისთვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნა.

### *7. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022-2030 წლებისთვის)[12]*

- მიზანი: განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.
- ამოცანა - ბ) ხარისხიან უმაღლეს განათლებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესება და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასთვის.
- მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა.
- ამოცანა - ვ) შშმ პირთა დასაქმება და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა სოციალური და ეკონომიკური ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება.

### *8. ინკლუზიური განათლების განვითარების 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა[13]*

უშუალოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს დოკუმენტის ორი ამოცანა ეხება:

- ამოცანაში 1.2 „მართვის სისტემის გაძლიერება განათლების ყველა საფეხურზე“ გათვალისწინებულია სულ მცირე სამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შშმ/სსსმ სტუდენტების მხარდამჭერი ცენტრების შექმნა.
- ამოცანაში 2.3 „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისი უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა, საგანმანათლებლო/მხარდამჭერი რესურსებითა

---

[12] „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022–2030 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0

[13]ხელმისაწვდომია: [https://mes.gov.ge/publicInfo/wp-content/uploads/2023/10/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf]

და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა“ გათვალისწინებულია ყველა უსდ-ის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში მოცემულია არაერთი ამოცანა, რომელიც მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, თუმცა, მათ განმახორციელებლად ძირითადად პროფესიული უნარების სააგენტო მოიაზრება.

***9. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგია[14] და სამოქმედო გეგმა[15]*** - დოკუმენტის მე-6 სტრატეგიული მიზანი ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის არსებული გარე მექანიზმების სრულ ჰარმონიზაციას საერთაშორისო სტანდარტებთან. მასთან დაკავშირებული ამოცანა 6.1 კი გულისხმობს უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პროცედურების ჰარმონიზებას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG). ამ ამოცანასთან დაკავშირებით 2023 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების პროექტის მომზადება და ინიცირება.[16] სავარაუდოდ, ავტორიზაციის ახალი სტანდარტები უფრო მეტად უნდა იყოს დაახლოებული ESG-ს სახელმძღვანელო პრინციპებთან, რომლებშიც წამყვანი ადგილი უჭირავს სტუდენტების მრავალფეროვნებაზე ეფექტიან რეაგირებას.

***10. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (Standards and Guidelines for Quality Assurance in the European***

[14] ხელმისაწვდომია [https://eqe.ge/media/15608/2021-2025-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf]

[15] ხელმისაწვდომია [ https://eqe.ge/res/NewFolder/NewFolder/NewFolder/NewFolder/NewFolder/NewFolder/2021-2025%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%202023%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf]

[16] იხილეთ: აქტივობები 6.1.8, 6.1.9 და 6.1.10.

***Higher Education Area, ESG)*** [17] - ESG-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია ის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნდა რეაგირებდეს უმაღლესი განათლების სისტემების, დაწესებულებების, პროგრამებისა და სტუდენტების მრავალფეროვნებაზე. ეს პრინციპი კარგად ვლინდება დოკუმენტში მოცემულ შემდეგ სტანდარტებში:

*<u>სტანდარტი 1.3 სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება</u>*

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების განხორციელებისას, სხვა აქტივობებთან ერთად, მითითებულია შემდეგი:

პატივს სცემს და ზრუნავს სტუდენტების მრავალფეროვნებასა და მათ საჭიროებებზე და ქმნის მოქნილი სასწავლო გზების საშუალებას;

საჭიროების შემთხვევაში, განიხილავს და იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების განსხვავებულ ფორმებს;

*<u>სტანდარტი 1.5 მასწავლებლები/ლექტორები</u>*

დოკუმენტი მასწავლებელს/ლექტორს არსებით როლს ანიჭებს და მიჩნეულია, რომ მას შეუძლია სტუდენტების მრალფეროვნებაზე ფოკუსირება, მათი საჭიროებების გათვალისწინება სწავლა/სწავლების პროცესში, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით.

*<u>1.6 სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა</u>*

ხარისხიანი განათლების მიღებასა და სწავლაში მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას ავალდებულებს სტუდენტებს რესურსების ფართო სპექტრი შესთავაზოს. ეს შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური რესურსები (ბიბლიოთეკა, სასაწავლო რესურსები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა), ისე ადამიანური რესურსებით მხარდაჭერა (კონსულტანტები, მრჩევლები).

## 3 დოკუმენტის მიზანი

მოცემული დოკუმენტის მიზანია, შეაფასოს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების მდგომარეობა - ვიწრო ფოკუსით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებზე; კერძოდ, რამდენადაა შექმნილი შშმ სტუდენტებისთვის სწავლა/სწავლების თანასწორი, არადისკრიმინაციული და მათ

[17] უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area) https://www.enqa.eu/wp-content/uploads/2015/11/ESG_2015.pdf

ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გარემო, რაც მათთვის ხარისხიანი განათლების მიღებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში სოციალური ინკლუზიის საფუძველია.

### 3.1 საკვლევი საკითხები

- რამდენად მისაწვდომი და მორგებულია სასწავლო პროცესი შშმ სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებებზე - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენა და გათვალისწინება სასწავლო პროცესში
- რამდენად ჩართულნი არიან შშმ სტუდენტები ექსტრაკურიკულურ აქტივობებში - რამდენად მონაწილეობენ სამეცნიერო, კულტურულ და სპორტულ აქტივობებში
- რამდენად მონაწილეობენ შშმ სტუდენტები უნივერსიტეტის მართვაში - როგორ არიან წარმოდგენილნი მართვის ორგანოებში - წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში), ფაკულტეტის საბჭოებში, სტუდენტურ თვითმმართველობაში
- რამდენად სტერეოტიპული და სტიგმატიზებული დამოკიდებულებაა შშმ სტუდენტების მიმართ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებში - რამდენად ინფორმირებულნი არიან შშმ პირთა უფლებებზე, აღიარებენ და პატივს სცემენ ამ უფლებებს
- რამდენად სისტემურია უნივერსიტეტების მუშაობა შშმ სტუდენტებისთვის მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გარემოს შექმნის მიმართულებით, კერძოდ, გატარებულ ღონისძიებებს რეაქტიული ხასიათი აქვს, თუ თანმიმდევრული გეგმის ნაწილია და უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის კოორდინირებული მუშაობის შედეგია
- შშმ სტუდენტებთან მუშაობისას, რამდენად არის გამოყენებული გონივრული მისადაგების პრინციპი
- რამდენად მისაწვდომია საუნივერსიტეტო გარემო, კერძოდ, უნივერსიტეტების ფიზიკური გარემო, მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტსა და სხვა რელევანტურ დოკუმენტებთან მიმართებით.

## 4 მეთოდოლოგია

*კვლევის მონაწილეების შერჩევა*

კვლევაში ჩართული იყო 11 უმაღლესი სასწავლო დაწესებულება - 9 საჯარო და 2 კერძო უნივერსიტეტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი
4. სსიპ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6. სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

7. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
8. სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10. შპს თავისუფალი უნივერსიტეტი
11. შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უნივერსიტეტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო ისეთი ფაქტორები, როგორიცაა გეოგრაფიული მდებარეობა - დედაქალაქი და რეგიონები, ტიპი - საჯარო და კერძო, ფუნქციონირების ისტორია - მრავალი წლის გამოცდილება და ახალი.

პირველადი მონაცემების შეგროვებაში მონაწილეობა მიიღო სამიზნე უნივერსიტეტების:

- ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა (რექტორი/მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი/მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი/მოადგილე, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი/მოადგილე, დეკანი/მოადგილე, საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი/მოადგილე, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი/მოადგილე) – 37 რესპონდენტი
- აკადემიურმა პერსონალმა - 24 რესპონდენტი
- სტუდენტებმა - 69 რესპონდენტი (მათ შორის 24 შშმ სტუდენტი).

სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 130 რესპონდენტმა.

### 4.1 **გამოყენებული მეთოდები**

მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდები:

- ***რელევანტური დოკუმენტებისა და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა*** - შესწავლილი იყო სამიზნე უნივერსიტეტების შიდა რეგულაციები და დოკუმენტები, ასევე, გაანალიზებული იყო ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილება;
- ***ნახევრად სტრუქტურირებული პირისპირ ინტერვიუ*** გამოყენებული იყო სამიზნე უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან ინფორმაციის შესაგროვებლად. ჯამში, კვლევის ფარგლებში ჩატარდა 39 ინტერვიუ; ასევე, ნახევრად სტრუქტურირებული პირისპირ ინტერვიუ ჩატარდა შშმ სტუდენტებთან იმ უნივერსიტეტებში, სადაც ვერ მოხერხდა ფოკუს ჯგუფის ორგანიზება - 3 ინტერვიუ;
- ***ფოკუს ჯგუფი*** გამოყენებული იყო სამიზნე უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისგან ინფორმაციის შესაგროვებლად. ჯამში, აკადემიურ პერსონალთან ჩატარდა 11 ფოკუს ჯგუფი (მონაწილეობა მიიღო 39 რესპონდენტმა); სტუდენტებთან ჩატარდა 12 ფოკუს ჯგუფი (მონაწილეობა მიიღო 66 სტუდენტმა, მათ შორის 19 შშმ სტუდენტმა).

ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერვიუებისთვის მომზადდა კითხვარები ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუსთვის: ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

### 4.2 კვლევის პროცესის აღწერა

მონაცემები შეგროვდა 2023 წლის სექტემბერი-ნოემბრის პერიოდში. თითოეულ სამიზნე უნივერსიტეტში კვლევითმა ჯგუფმა ერთი ვიზიტი განახორციელა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ინკლუზიური განათლებისა და მისაწვდომის ექსპერტები და სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის ორი თანამშრომელი. ვიზიტს წინ უძღვოდა უნივერსიტეტებთან სახალხო დამცველის აპარატის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის წარმომადგენლის კომუნიკაცია - გამოთხოვილი იყო რელევანტური ინფორმაცია. ასევე, თითოეულ უნივერსიტეტს ეთხოვა დახმარება ინტერვიუებისა და ფოკუს ჯუფების ორგანიზებაში - კვლევაში ჩართულმა ყველა უნივერსიტეტმა დროულად გამოგზავნა მოთხოვნილი ინფორმაცია და უზრუნველყო ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების გეგმის მიხედვით შეუფერხებლად ჩატარება.

## 5 კვლევის შედეგები

### 5.1 ძირითადი მიგნებები

უნივერსიტეტებში მყოფი შშმ სტუდენტების შეზუდული შესაძლებლობა უმრავლეს შემთხვევაში უკავშირდება ქრონიკულ დაავადებას, გადაადგილების შეზღუდვასა და მხედველობის დარღვევებს. უფრო იშვიათად გვხვდებიან ყრუ და სმენის დარღვევის მქონე სტუდენტები. გაზრდილია ფსიქოლოგიური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სტუდენტების რაოდენობა, რომელთა საჭიროებებს უნივერსიტეტები სრულად ვერ აკმაყოფილებენ; კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტებში, სტუდენტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენის გავრცელებული გზაა უნივერსიტეტის სარეგისტრაციო კითხვარში სპეციალური კითხვები; უფრო ხშირია, როდესაც საგანმანათლებლო საჭიროება რეგისტრაციის პროცესში ჩატარებული შეხვედრების დროს ვლინდება. სტუდენტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება მხოლოდ მისი სურვილის შემთხვევაში აღინუსხება. შშმ პირების მიმართ საზოგადოებასა და უნივერსიტეტებში ჯერ კიდევ არსებული სტერეოტოპებისა და სტიგმტიზებული დამოკიდებულებების გამო, სტუდენტები ხშირად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დამალვას ამჯობინებენ. ამ მიმართულებით რიგ შემთხვევებში, უნივერსიტეტები მიმართავენ შშმ სტუდენტების წახალისებას - ათავისუფლებენ სწავლის გადასახადისგან ან მნიშვნელოვნად უმცირებენ მას, ან გასცემენ ფულად გასაცემელს. სასწავლო პროცესში შშმ სტუდენტები მხოლოდ ნაწილობრივ არიან ჩართულები - ეტლით მოსარგებლეებისა და გადაადგილების შეზღუდვის მქონე სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტის სივრცე მხოლოდ

ნაწილობრივ არის მისაწვდომი. უსინათლო პირებს, ასევე მხოლოდ ნაწილობრივ მიუწვდებათ ხელი სასწავლო მასალაზე, უნივერსიტეტის ვებგვერდსა და ელექტრონულ სასწავლო პორტალზე.

გონივრული მისადაგების პრინციპი გამოიყენება ფრაგმენტულად და ხშირად, შშმ სტუდენტისა და მისი ოჯახის წევრის აქტიურობისა და ძალისხმევის შედეგად.

კვლევაში ჩართულ ყველა უნივერსიტეტში, შშმ სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებას რეაქტიული ხასიათი აქვს: შშმ პირებისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვას არ აქვს ორგანიზებული ხასიათი და სასწავლო პროცესში აღმოცენებული საკითხების შესაბამისად მიმდინარეობს; ლექტორებს მხოლოდ იშვიათად აფრთხილებენ წინასწარ, რომ ჯგუფში შშმ სტუდენტი იქნება და არც ამ შემთხვევაშიც ხდება წინასწარ საჭირო ზომების მიღება. შშმ სტუდენტებთან გეგმაზომიერი და პროაქტიული მუშაობა არ ვლინდება უნივერსიტეტების დოკუმენტაციაში.

სისტემურ ხასიათს არ ატარებს სასწავლო პროცესში შშმ პირების საჭიროებებზე დავალებებისა და გამოცდების მორგება - ლექტორისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებები, ხშირად არ ემყარება საფუძვლიან არგუმენტაციას - არ არსებობს გაწერილი წესები, რომლებიც საუნივერსიტეტო რეგულაციების ნაწილი იქნებოდა. არის შემთხვევები, როდესაც დავალებების ფორმატი შშმ სტუდენტებისთვის  დავალებების გამარტივების მიზნით იცვლება.

უნივერსიტეტებში არ არსებობს შშმ სტუდენტებთან მუშაობის პროფესიული სუპერვიზიის შესაძლებლობა - შშმ სტუდენტებთან მუშაობისას აღმოცენებული კითხვების შემთხვევაში, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს მხოლოდ პირადი კონტაქტების გამოყენებით შეუძლიათ მიმართონ უნივერსიტეტში შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლებს, რომელთა სამუშაო მოვალეობებში არ შედის მსგავსი კონსულტაციების გაცემა.

უნივერსიტეტებში არ არსებობს სტრუქტურული ერთეული, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა შშმ პირებისთვის სასწავლო პროცესის ორგანიზებას, როგორც ეს გვხვდება ევროპულ უნივერსიტეტებში. შშმ სტუდენტების მცირე რაოდენობის გამო, სამიზნე უნივერსიტეტებში ასეთი სტრუქტურული ერთეულის არსებობა გაუმართლებლად მიაჩნიათ; თუმცა, მიესალმებიან უნივერსიტეტებისთვის ერთიანი  ცენტრის/ჰაბის არსებობას, რომელიც უნივერსიტეტებს ინკლუზიური განათლების მიმართულებით გაუწევს კოორდინაციას.

უნივერსიტეტში სწავლა შშმ სტუდენტებისა და მათი ოჯახებისგან გაცილებით მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე შეზღუდვის არმქონე სტუდენტებისგან - შშმ სტუდენტებს ოჯახის წევრები ეხმარებიან ტრანსპორტირებაში, უნივერსიტეტში ხშირად ასრულებენ ასისტენტის ფუნქციას, ჩართულნი არიან აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაციის პროცესში. შშმ სტუდენტებს დამატებითი ძალისხმევა სჭირდებათ სასწავლო მასალის მოსაპოვებლად და სასწავლო პროცესში სრულად ჩასართველად.

შშმ სტუდენტები ნაკლებად არიან ჩართულები ექსტრაკურიკულურ და სამეცნიერო აქტივობებში - ეს ძირითადად უნივერსიტეტში მათ საჭიროებებზე მხოლოდ ნაწილობრივ მორგებული გარემოთი და სახლიდან ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემებით არის გამოწვეული. შშმ სტუდენტები ნაკლებ ინტერესს იჩენენ, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მართვაში.

უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები მიმღებლობას ამჟღავნებენ შშმ სტუდენტებისა და ზოგადად, ინკლუზიური განათლების მიმართ. თუმცა იკვეთება მათი არაინფორმირებულობა შშმ პირთა უფლებების შესახებ და არასათანადო ტერმინების გამოყენების პრაქტიკა.

შშმ სტუდენტები, ზოგადად, დისკრიმინაციულ მოპყრობას არ გრძნობენ; თუმცა აღნიშნავენ, რომ ცალკეულ შემთხვევებში, უნივერსიტეტის პერსონალის ცნობიერების დონე გაუმჯობესებას საჭიროებს; სტუდენტებთან ურთიერთობაში კი შეიმჩნევა დაძაბულობა, რომელიც განპირობებულია შშმ პირებთან ბუნებრივად და შესაბამისად მოქცევის არცოდნით.

კვლევაში ჩართული უნივერსიტეტების უმრავლესობაში გამოიკვეთა აზრი, რომ სწავლის უნივერსალური დიზაინი და ინკლუზიური განათლება მნიშვნელოვანია, მის შესაქმნელად და დასანერგად კი აუცილებელია პროაქტიული მიდგომა; თუმცა, იმასაც აღიარებენ, რომ არსებული დაფინანსების პირობებში, მხოლოდ საკუთარი რესურსებით ამის მიღწევა, განსაკუთრებით საჯარო უნივერსიტეტებისთვის, შეუძლებელია. პრობლემას წარმოადგენს უნივერსიტეტებს შორის რესურსების გაზიარება და პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქტიური ჩართულობაც.

ინკლუზიური განათლების განვითარების მიმართულებით, ერთეული გამონაკლისების გარდა, უნივერსიტეტებს დონორ ორგანიზაციებსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობის გამოცდილება არ აქვთ. ამ უკანასკნელთან თანამშრომლობაც, მხოლოდ ინდივიდუალური, გადაუწყვეტელი შემთხვევების მოგვარებით შემოიფარგლება.

## 5.2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენა და გათვალისწინება სასწავლო პროცესში

კვლევამ აჩვენა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოსავლენად, უნივერსიტეტები ძირითადად სტუდენტთა რეგისტრაციის პერიოდს იყენებენ. ზოგიერთ უნივერსიტეტს სარეგისტრაციო კითხვარში შესაბამისი კითხვები აქვს,[18] ზოგიერთი

[18] თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტი კი, ამ საკითხებთან დაკავშირებით ინტერვიუირებას და დაკვირვებას არჩევს.[19] იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში არ ჩანს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენის სისტემა, ინფორმაცია ძირითადად ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების ფარგლებშია მოპოვებული.

სსსმ სტუდენტების ერთიანი მონაცემთა ბაზა არ არსებობს და დიდი ზომის უნივერსიტეტებში, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და აკადემიური პერსონალი არ არიან ინფორმირებულნი მათ სასწავლებლებში შშმ სტუდენტების რაოდენობის შესახებ[20] (ამას ადასტურებს კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები), შედარებით მცირე ზომის უნივერსიტეტებში (სადაც ირიცხება 1500 – 2000 სტუდენტი) კი, საერთოდ არ არის გამოვლენილი შშმ სტუდენტი,[21] ან არის მხოლოდ ერთი[22] ან ორი.[23] როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, უნივერსიტეტში ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების შესახებ ინფორმაციას რეგულარულად იღებდნენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისგან; თუმცა, ბოლო პერიოდის განმავლობაში, ასეთი ინფორმაცია აღარ მიუღიათ. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ინფორმაციის წინასწარი ფლობა უნივერსიტეტებს სათანადოდ მომზადების საშუალებას მისცემს; თუმცა ინტერვიუირებისას, არცერთ რესპონდენტს არ უხსენებია, რომ როდესაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისგან იღებდნენ ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების შესახებ, ამ ინფორმაციას უნივერსიტეტი ეფექტიანად იყენებდა სათანადოდ მოსამზადებლად.

ზოგიერთ შემთხვევაში, სტუდენტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ მაშინ ხდება ცნობილი, როდესაც ამის სურვილი თავად სტუდენტს აქვს; თუმცა, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, სტუდენტები ხშირად ცდილობენ არ გამოააშკარავონ საგანმანათლებლო საჭიროება/შეზღუდული შესაძლებლობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მხედველობის ან სმენის დარღვევას  უკავშირდება. ზოგიერთ უნივერსიტეტში[24] ამ მიმართულებით სტუდენტების წასახალისებლად დაწესებულია ფინანსური ინსენტივი - სტუდენტები სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისგან. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტებში მოქმედი წესებისა და რეგულაციების მიხედვით, ბუნდოვანია, ვისთან და როგორ უნდა განაცხადოს სტუდენტმა

---

[19] აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

[20] აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახისშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი.

[21] იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

[22] შპს თავისუფალი უნივერსიტეტი.

[23] შპს საქართველოს უნივერსიტეტი.

[24] აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ. თუმცა, როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტები ფაკულტეტის დეკანს/ადმინისტრაციას მიმართავენ.

სტუდენტების მხრიდან, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დამალვის სურვილს კვლევის მონაწილეები საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპებითა და შშმ პირთა მიმართ სტიგმატიზებული დამოკიდებულებით, ოჯახებში არსებული დაბალი ცნობიერებით და მხარდამჭერი სერვისების ნაკლებობით ხსნიან. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტებში კვლევითი ჯგუფის ვიზიტის დროს, შშმ პირთა მიმართ სტერეოტიპული და დისკრიმინაციული დამოკიდებულებები ზოგიერთი უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებთანაც გამოვლინდა (დეტალური ინფორმაცია მოცემულია ანგარიშის თავში 6.4).

სამიზნე უნივერსიტეტების წარმომადგენლები საუბრობენ სტუდენტებში გაუარესებულ ფსიქიკურ ჯანრმთელობაზე, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა კოვიდ-19 პანდემიის შემდეგ. ამას ადასტურებს სტუდენტების მიმართვიანობა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ცენტრებში - იმ უნივერსიტეტებში, სადაც ასეთი ცენტრები არსებობს.[25] უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებში ფსიქოლოგიური პრობლემების აქტუალურობა განსაკუთრებით გამოვლინდა თავისუფალ უნივერსიტეტსა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში - ეს ტენდენცია დაადასტურა როგორც პერსონალთან, ისე სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა. დიდი მოთხოვნის მიუხედავად, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ცენტრი არცერთ დასახელებულ უნივერსიტეტში არ არსებობს. თავისუფალ უნივერსიტეტში ამას ქვეყანაში კვალიფიციური ფსიქოლოგების ნაკლებობით ხსნიან - *„პროფესიონალი პრაქტიკოსი ფსიქოლოგი, თავის პრქტიკაზე უარს არ იტყვის და არ წამოვა უნივერსიტეტში სამუშაოდ - სულ რამდენიმე ვიცით ისეთი, ვისაც ვენდობით. უხარისხო მომსახურების შეთავზებას ჩვენი სტუდენტებისთვის ნამდვილად არ ვაპირებთ. ვმუშაობთ ამ მიმართულებით და ვფიქრობთ, მალე შევძლებთ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ცენტრის ამუშავებას“* (თავისუფალი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი). უახლოეს მომავალში ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ცენტრის ამოქმედებას გეგმავს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტიც. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო უნივერსიტეტებში ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ცენტრები ერაზმუს+ პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტის, „ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების შექმნა სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში E-PSY“[26] ფარგლებში ამოქმედდა. პერსონალის თქმით, რომ არა საერთაშორისო მხარდაჭერა, რთული სათქმელია, იქნებოდა თუ არა გათვალისწინებული

[25] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
[26] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://epsy.ge/en.

სტუდენტების ფსიქოლოგიური საჭიროებები ამ უნივერსიტეტებში. ეს ცენტრები სრული დატვირთვით არ მუშაობენ - აქტუალურია კვალიფიციური კადრების პრობლემა, ზოგიერთ უნივერსიტეტში კი სტუდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებულები ამ ცენტრების საქმიანობის შესახებ.

უნივერსიტეტები განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდებიან იმ სტუდენტების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენისას, რომელიც ხილული არ არის, როგორიცაა, მაგალითად დასწავლის უნარის დარღვევა (დისლექსია, დისკალკულია და ა.შ.) ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები (დეპრესია, ბიპოლარული აშლილობა და ა.შ).

როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, არასისტემური და რეაქტიული მიდგომა გამოვლინდა შშმ სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს ორგანიზებაშიც. თითქმის ყველა უნივერსიტეტში დომინირებს საჭიროების გამოვლენის შემდეგ მოქმედების პრაქტიკა. როგორც კერძო, ისე საჯარო უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინება იწყება მისი გამოვლენის შემდეგ - მაგალითად, გადაადგილების შეზღუდვის მქონე სტუდენტს ლექციები/სემინარები ენიშნება შენობის მისაწვდომ სივრცეში; უსინათლო სტუდენტისთვის დაგვიანებით მოხერხდა მობილობა-ორიენტაციის სპეციალისტის დაქირავება, სასწავლო მასალებიც, მისთვის საჭირო ფორმატში, სწავლის პროცესში გადაჰყავთ - თუმცა, არასრულყოფილად. როგორც ერთ-ერთმა შშმ სტუდენტმა აღნიშნა, *„ცუდი ის არის, რომ რასაც ჩემთვის ცდილობენ, ეს იმდენად უსისტემოდ ხდება, სხვა უსინათლო სტუდენტი რომ მოვიდეს მეორე წელს, ზუსტად იგივე ქაოსი იქნება მისი მომსახურებისას - არც მასალები იქნება შენახული და არც საჭირო ფორმატები ემახსოვრება ვინმეს“.* უნდა აღინიშნოს, რომ კერძო უნივერსიტეტებში შედარებით უფრო სწრაფად ხდება გამოვლენილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილება. ეს იმით აიხსნება, რომ ტექნიკის ან მომსახურების შესყიდვისას, მათ არ ეხებათ სახელმწიფო სატენდერო მოთხოვნები. შედეგად, სწრაფად ახერხებენ საჭირო ნაბიჯების გადადგმას, რაც შშმ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება. ამის გათვალისწინებით, ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო უნივერსიტეტებში სწავლის უნივერსალური დიზაინის აუცილებლობა ეჭვქვეშ დააყენეს. მაგალითად, თავისუფალ უნივერსიტეტში, ინტერვიუირებული ადმინისტრაციული პერსონალი სწრაფ და ეფექტიან რეაქტიულ მიდგომას სრულიად მისაღებად მიიჩნევს - *„რატომ უნდა შევიძინოთ ძვირადღირებული ტექნიკა წინასწარ, რომელიც შეიძლება სრულებით არ დაგვჭირდეს, როდესაც შეგვიძლია შევიძინოთ მყისიერად, როცა მისი საჭიროება გამოვლინდება?“.*

უნივერსიტეტებში გავრცელებული პრაქტიკაა შშმ სტუდენტებთან მომუშავე კონკრეტული პირის გამოყოფა. თსუ-ს შეთხვევაში, ყველა ფაკულტეტზე ჰყავთ ასეთი თანამშრომელი. იგი ინდივიდუალურად ცდილობს შშმ სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებას; თუმცა, ამას არ აქვს სისტემური ხასიათი - მაგალითად, არ კეთდება ადაპტირებული სასწავლო მასალის კატალოგი; არსად არ განიხილება სპეციალური

განყოფილების ან ცენტრის შექმნა, რომელიც იზრუნებდა სასწავლო პროცესის სისტემურ ადაპტირებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში შშმ სტუდენტების რაოდენობა მცირეა, ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის უმრავლესობას მიაჩნია, უნივერსიტეტში ასეთი სტრუქტურული ერთეულის შექმნა გაუმართლებელი ხარჯი უფრო იქნებოდა, ვიდრე სარგებლის მომტანი.

როგორც კერძო, ისე საჯარო უნივერსიტეტებში გამოვლინდა შშმ სტუდენტებისთვის, უმეტესად უსინათლო სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტის მიერ ასისტენტის დაქირავების პრაქტიკა.[27] თუმცა, დიდ უნივერსიტეტებში, ფაკულტეტების მიხედვით მდგომარეობა განსხვავებულია - მაგალითად, ერთსა და იმავე უნივერსიტეტში,[28] ერთ ფაკულტეტზე შესაძლებელი იყო უსინათლო სტუდენტისთვის ასისტენტის დაქირავება, მეორე ფაკულტეტზე კი ეს ვერ მოხერხდა. პირადი ასისტენტის დაქირავების თვალსაზრისით, უნივერსიტეტების პრაქტიკა არაერთგვაროვანია, თუმცა, საერთოა ის, რომ უნივერსიტეტების მიერ გამოთხოვილ დოკუმენტებში არ მოიძებნა შშმ პირისთვის პირადი ასისტენტის დაქირავების ფორმალიზებული წესი - მის მიმართ არსებული პროფესიული მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა. საგულისხმოა, რომ, როგორც შშმ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, უმრავლეს შემთხვევაში უნივერსიტეტების მიერ დაქირავებული ასისტენტები არ ფლობენ საჭირო ცოდნას და არ გაუვლიათ სპეციალური მომზადება. აღსანიშნავია ისიც, რომ უსინათლო სტუდენტისთვის პირადი ასისტენტი ძირითადად მობილობა-ორიენტაციის სპეციალისტის როლს ასრულებს; თუმცა მისი საჭიროება, შესაძლოა, გამოვლინდეს სასწავლო პროცესშიც - მაგალითად, PP პრეზენტაციის მოსამზადებლად, რაც უმრავლეს შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ფუნქციას ოჯახის წევრები ასრულებენ. გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უნივერსიტეტი სტუდენტს და მის ოჯახს სთავაზობს ასისტენტის დაქირავებს, სტუდენტს კი ურჩევნია, რომ ეს ფუნქცია დედამ ან ოჯახის სხვა წევრმა შეასრულოს.

სასწავლო პროცესის ადაპტირებაზე საუბრისას, რესპონდენტები ძირითადად ყურადღებას ამახვილებდნენ საგამოცდო პროცესის ადაპტირებაზე, რაც, უმრავლეს შემთხვევაში, გამოიხატებოდა საგამოცდო დროის გახანგრძლივებაში; ასევე გვხვდება გამოცდის ფორმატის შეცვლა - მაგალითად, წერითი გამოცდის ნაცვლად შშმ სტუდენტები აბარებენ ზეპირ გამოცდას ან პირიქით. უნივერსიტეტების გაზიარებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილებას საგამოცდო დროის გახანგრძლივების ან ფორმატის შეცვლის შესახებ, იღებს ლექტორი და ათანხმებს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან. ამ პროცედურის შესახებ ჩანაწერი უნივერსიტეტების შიდა რეგულაციებსა და წესებში არ მოიძებნა. ასევე, არსად არის გაწერილი, რა საბუთები უნდა წარმოადგინოს შშმ სტუდენტმა

[27] თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი.
[28] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

შესაბამისი საჭიროების დასადასტურებლად და რეკომენდებული მისადაგების ზომის შესარჩევად.

ლექცია-სემინარების ადაპტირებასთან დაკავშირებით, გავრცელებული პრაქტიკაა ამ პროცესის წარმართვა შშმ პირისთვის ხელმისაწვდომ სივრცეში (ეტლით მოსარგებლისა და გადაადგილების სირთულის მქონე სტუდენტებისთვის). თითქმის ყველა საჯარო უნივერსიტეტში გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც სპეციალურად შშმ სტუდენტისთვის გადმოიტანეს ლექცია-სემინარები კონკრეტულ აუდიტორიაში. ასევე, ხშირად, განსაკუთრებით რეგიონებში, შშმ სტუდენტს სხვა სტუდენტები ეხმარებიან ლექციაზე/ან გამოცდაზე შესვლაში/გამოსვლაში. გვხვდება შემთხვევები, როდესაც საგამოცდო ცენტრის მიუწვდომლობის გამო, გადაადგილების შეზღუდვის მქონე სტუდენტები მათთვის მისაწვდომ სივრცეში, მარტო წერენ გამოცდას. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით დიდძალი ძალისხმევის გაღება უხდებათ მცირედმხედველ სტუდენტებს - მართალია, გამოცდებზე ისინი უზრუნველყოფილნი არიან გადიდებული შრიფტით, მაგრამ ლექცია-სემინარებზე ხშირად უწევთ შეახსენონ ლექტორს სლაიდების ფონტის ზომის გადიდებისა და ფონის ფერის შეცვლის შესახებ. სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ზოგადად, სტუდენტების დიდ ნაწილს მხედველობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხარისხის პრობლემები აქვთ და ლექტორების მიერ წარმოდგენილი სლაიდები ხშირად ბევრი მათგანისთვის პრობლემურია.

უსინათლო სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა სასწავლო მასალებზე წვდომა. როგორც წესი, საჭირო ფორმატში სასწავლო მასალა სწავლის პროცესში გადაჰყავთ და არა წინასწარ. როგორც სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუები აჩვენებს, ზოგიერთ უნივერსიტეტში ეს პროცესი მთლიანად არის დამოკიდებული ლექტორების კეთილ ნებაზე. ერთ-ერთმა უსინათლო სტუდენტმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც მას არ მოსთხოვეს იმ დავალების ჩაბარება, რომლის მისთვის საჭირო ფორმატში გადაყვანაც ვერ მოხერხდა. ერთ-ერთს კი შესთავაზეს, რომ მისთვის დედას წაეკითხა მასალა. უნივერსიტეტების მიხედვით განსხვავებული მდგომარეობა იკვეთება სასწავლო მასალებზე მისაწვდომობის თვალსაზრისით. სტუდენტებისთვის საჭირო ლიტერატურა მთლიანად გაციფრულებულია თავისუფალ უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში. მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ს ორი უსინათლო სტუდენტი ჰყავს, ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა არ მიმდინარეობს; თუმცა, თსუ-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ არსებობს პროექტი „სტუდენტები სტუდენტებისთვის“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ლიტერატურის გახმოვანება; ამავე დროს, სტუდენტებთან ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფმა აჩვენა, რომ უსინათლო სტუდენტები უპირატესობას წიგნების არა გახმოვანებას, არამედ გაციფრულებას ანიჭებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციის თქმით, საავტორო უფლებებთან დაკავშირებული გამოწვევები ართულებს წიგნების გაციფრულებას.

უსინათლო სტუდენტებისთვის პრობლემაა წვდომა უნივერსიტეტის ვებგვერდსა და სასწავლო პორტალზე. როგორც კვლევის პროცესში გაირკვა, თსუ-ს სასწავლო ელექტრონული პორტალის განახლების პროცესში ჩართული ჰყავს უსინათლო სტუდენტი, რათა იგი სრულად იყოს მორგებული უსინათლო პირთა საჭიროებებზე.

სწავლის პროცესის მსგავსად, უსინათლო სტუდენტები პრობლემებს აწყდებიან გამოცდების ჩაბარებისას. მაგალითად, საგამოცდო ცენტრში აცხადებენ, რომ უსინათლო სტუდენტის მიერ გამოცდის საკუთარი კომპიუტერით ჩაბარება გარკეულ რისკებთან არის დაკავშირებული, რადგან ინტერნეტზე წვდომა, სტუდენტმა, შესაძლოა, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. თსუ-ში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფზე აღინიშნა შემთხვევა, როდესაც ტესტი უსინათლო სტუდენტს ბრაილის შრიფტით დაუბეჭდეს; თუმცა, მიღებული ქულიდან გამომდინარე, ლექტორი ეჭვობს, რომ ტექსტის გადატანისას დაშვებული იყო შეცდომები. ინტერვიურების პროცესში მიმდინარეობდა ამ საკითხის მოკვლევა.

სამიზნე უნივერსიტეტებს ნაკლებად აღმოაჩნდათ სმენის დარღვევებისა და ყრუ სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება. როგორც ყრუ სტუდენტების საჭიროების შესწავლამ აჩვენა, ისინი ანალოგიურ გამოწვევებს აწყდებიან - ვერ ახერხებენ სასწავლო პროცესში სრულად ჩართვას - როგორც წესი, არ ჰყავთ პირადი ასისტენტი, რომელიც დაეხმარებოდათ ლექციებზე ჩანაწერების გაკეთებაში. სასწავლო მასალა მისაწვდომია, თუმცა ეს არ ეხება ვიდეომასალას, რომელსაც, მათი თქმით, „უბრალოდ, ტოვებენ“. სასწავლო პროცესში მათი საჭიროებების გათვალისწინებაზე საუბრისას ძირითადად აღინიშნებოდა, რომ ეს სტუდენტები სხდებიან წინა რიგში, ლექტორთან ახლოს, გამოცდას კი წერილობით აბარებენ.

ასევე, იშვიათობაა სასწავლო პროცესის ადაპტირება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სტუდენტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების გაუარესებულ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე მიუთითეს პერსონალმაც და თავად სტუდენტებმაც, ეს საკითხი ნაკლებად აისახება სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და განიხილება მხოლოდ ინდივიდუალურად - ლექტორი/სტუდენტის პერსპექტივიდან. მაგალითად, ერთ-ერთმა ლექტორმა აღნიშნა, რომ მიმართა სტუდენტმა ბიპოლარული აშლილობით და სთხოვა ინდივიდუალური მიდგომა, რაც მნიშვნელოვან გამონაკლისებსა და შეღავათებს არ გულისხმობდა და მისი თხოვნის დაკმაყოფილება პრობლემა არ იყო ლექტორისთვის. ასევე, ერთ-ერთი უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებულ ინტერვიუში აღინიშნა, რომ მათ ფაკულტეტზე სწავლობს ქცევითი აშლილობის სტუდენტი (ნასამართლევი სხვისი ჯანმრთელობის დაზიანების გამო) - ეს მოცემულობა აშინებს და სტრესავს როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პერსონალს. უნივერსიტეტის დაცვა საქმის კურსშია, თუმცა ამ სტუდენტისთვის ფსიქოლოგიური ან სხვა სახის მხარდაჭერა არ შეუთავაზებიათ. როგორც ზემოთ აღინიშნა, სტუდენტებში ზოგადად გაზრდილია ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები - კვლევაში მონაწილე რესპონდენტები, განსაკუთრებით კერძო უნივერსიტეტებში, ამ გარემოების გამომწვევ ერთ-ერთ ფაქტორად ასახელებენ უნივერსიტეტებში არსებულ მაღალ

სტანდარტებს. ეს ტენდენცია კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში - სტუდენტებთან ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფმა აჩვენა, რომ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები - უცხოელ ლექტორებთან კომუნიკაცია, დავალებებისა და გამოცდების ჩაბარების პროცესი, სტუდენტების ფსიქოლოგიური დისტრესის ძირითადი გამომწვევია.

შშმ სტუდენტებთან მუშაობის ნაკლები გამოცდილება და კომპეტენცია გამოვლინდა აკადემიურ პერსონალში. პირველ რიგში ეს უკავშირდება უსინათლო სტუდენტებისთვის სასწავლო მასალის მოდიფიკაციას - იშვიათი გამონაკლისების გარდა, ლექტორებს არ აქვთ ინფორმაცია უსინათლო პირებისთვის მისაწვდომი ფორმატების შესახებ. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულია ტექნიკურ საგნებთან დაკავშირებით, სადაც სასწავლო მასალა შეიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას, ექსელის ფაილებს, ცხრილებს - ლექტორები ვერ ახერხებენ ამ სახის ინფორმაციის გაზიარებას უსინათლო სტუდენტებისთვის. შშმ სტუდენტების ნაკლებობის გამო, მათთან მუშაობის გამოცდილება ლექტორების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს. მათთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში გაირკვა, რომ სასწავლო მეთოდოლოგიის მორგება პრობლემა არ იყო ეტლით მოსარგებლე და გადაადგილების შეზღუდვის მქონე სტუდენტების შემთხვევაში. იყო შემთხვევები, როდესაც მათ უკავშირდებოდნენ შშმ სტუდენტების მშობლები და სთხოვდნენ შვილების მდგომარეობის მხედველობაში მიღებას. უსინათლო სტუდენტების შემთხვევაში, ლექტორები სემესტრის განმავლობაში ცდილობდნენ სასწავლო მასალის მათ საჭიროებაზე მორგებას. ერთ-ერთმა ლექტორმა აღნიშნა, რომ წინასწარ იცოდა, რომ ჯგუფში უსინათლო სტუდენტი ეყოლებოდა, თუმცა არ დაინტერესებულა მისი საჭიროებებით. „სწავლის პროცესში მოვერგებოდი“, - აღნიშნა მან. ლექტორებთან საუბარში ირკვევა, რომ სასწავლო მასალების ადაპტირების შესახებ ძირითად და მნიშვნელოვან ინფორმაციას თავად უსინათლო სტუდენტებისგან იღებენ. თუმცა, როდესაც ლექტორებს კითხვები უჩნდებათ შშმ სტუდენტის სწავლების თავისებურებებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტში არ არსებობს სპეციალური სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მიმართავდნენ კონსულტაციისთვის. გავრცელებული პრაქტიკაა პირადი კონტაქტების გამოყენება და კონსულტაციისთვის იმ პირთან დაკავშირება, ვინც ინკლუზიურ განათლებაში მეტ-ნაკლებად გარკვეულია. თუმცა, ასეთი კონსულტირება მხოლოდ პირად ხასიათს ატარებს და არ შედის მის სამუშაო ვალდებულებებში. შშმ სტუდენტებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ მათთვისაც უფრო კომფორტული იქნებოდა უნივერსიტეტის ერთ სტრუქტურულ ერთეულთან კომუნიკაცია ყველა სახის საჭიროებასთან დაკავშირებით - არსებული გამოცდილება კი აჩვენებს, რომ მათ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან უწევთ ურთიერთობა, ზოგჯერ კი ყველა ლექტორს თავად აყენებენ საქმის კურსში მათი მდგომარეობისა და საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ.

## 5.3 შშმ სტუდენტების ჩართულობა, ექსტრაკურიკულურ აქტივობებსა და უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობა

სამიზნე უნივერსიტეტებში, როგორც პერსონალი, ისე სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ უნივერსიტეტში ყველაფერი კეთდება იმისთვის, რათა შშმ სტუდენტებმა თავი გარიყულად არ იგრძნონ. თუმცა, როგორც კვლევის დროს გაირკვა, შშმ სტუდენტების დიდი ნაწილი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ნაკლებად არის ჩართული - ნაკლებად მონაწილეობენ კულტურულ და სპორტულ აქტივობებში; თითქმის არ არიან წარმოდგენილნი მართვის ორგანოებში. აღსანიშანავია, რომ შშმ სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვის განსხვავებული პრაქტიკაა სხვადასხვა დაწესებულებაში. მაგალითად, ერთ-ერთ რეგიონულ უნივერსიტეტში გაიხსენეს შშმ კურსდამთავრებული, რომელიც ახლომდებარე სოფელში ცხოვრობდა და უნივერსიტეტში მშობელს დაჰყავდა. ყველა ღონისძიებაში მონაწილეობდა და მაშინაც კი, როდესაც სივრცის მიუწვდომლობის გამო სტუდენტების დახმარებით შედიოდა შენობაში ან სართულიდან სართულზე ინაცვლებდა, ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარი არ უთქვამს. დედაქალაქის ერთ-ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის შიგნით ეტლით მოსარგებლეებს პრობლემა არ აქვთ, თუმცა, იმის გამო, რომ უნივერსიტეტამდე მოღწევა პრობლემურია, განსაკუთრებით შორიდან, შშმ სტუდენტები თავს არიდებენ სასწავლო პროცესის მიღმა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მონაწილეობას, იქნება ეს კულტურული და სპორტული ღონისძიებები, თუ მართვის პროცესში მონაწილეობა. დადებითი პრაქტიკის მაგალითია უნივერსიტეტების მხრიდან შშმ სტუდენტების ტრანსპორტირების მხარდაჭერა - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს უნივერსიტეტში შშმ სტუდენტები ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ უნივერსიტეტამდე ტრანსპორტირებისთვის.

შშმ სტუდენტებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულობაზე გავლენას ახდენს შეზღუდვის ხარისხი და ტრანსპორტირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერა. მაგალითად, ერთ-ერთმა შშმ სტუდენტმა აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გახდა ავტოკატასტროფის შემდეგ - დიდი ხნის განმავლობაში კომატოზურ მდგომარეობაში ყოფნის შემდეგ, ის უნივერსიტეტს შშმ პირად დაუბრუნდა. თუმცა, უნივერსიტეტმა მყისიერად მიიღო საჭირო ზომები, მოარგო სასწავლო პროცესი და ამასთანავე, უნივერსიტეტშივე დაასაქმა მისთვის სასურველ თანამდებობაზე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ის აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის სოციალურ პროექტებში და თავისი საქმიანობით, ცდილობს დაამსხვრიოს ის სტერეოტიპები და სტიგმა, რომელიც შშმ პირთა მიმართ არსებობს.

კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებთან შედარებით, მეტია შშმ სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა და აქტივობებში, თუმცა მდგომარეობა არაერთგვაროვანია - სტუდენტებთან საუბარმა აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შშმ სტუდენტებს სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო კლუბებში მონაწილეობის საუკეთესო გამოცდილება და წარმატებები აქვთ; თუმცა, მდგომარეობის სიღრმისეული

შესწავლა აჩვენებს, რომ ეს მოცემულობა მათი მიზანდასახულობისა და შეუპოვრობის დამსახურება უფროა, ვიდრე უნივერსიტეტის მხარდამჭერი პოლიტიკისა და პრაქტიკის. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს შშმ სტუდენტთან განსხვავებული პიროვნული მახასიათებლებებით - მოცემულობაც განსხვავებულია; როგორც ერთმა შშმ სტუდენტმა აღნიშნა, *„არასდროს მიმიღია რაიმე აქტივობაში მონაწილეობა და ამის ძირითადი მიზეზი ჩემი შეზღუდული შესაძლებლობაა. მქონია და მაქვს სურვილი, რომ ჩავერთო კონფერენციებში, ინტელექტუალურ აქტივობებში, მაგრამ იმის გამო, რომ არ მესმის და არ მყავს პირადი ასისტენტი, იძულებული ვარ, უარი ვთქვა ყველაფერზე“.*

შშმ სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობა ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდა - კვლევაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობას არასოდეს გამოუხატავს ინტერესი და სურვილი, მონაწილეობა მიეღო ფაკულტეტის საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებში. იშვიათი გამონაკლისის გარდა, სამიზნე უნივერსიტეტებს მართვის ორგანოებში შშმ სტუდენტის ჩართულობის გამოცდილება არ აქვთ. ერთ-ერთმა შშმ სტუდენტმა აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში შეთავაზება მიიღო ჩართულიყო პროცესში და შეერთებოდა კონკრეტულ გუნდს. თუმცა, ამ გუნდის გამარჯვების შემდეგ, როგორც სტუდენტი აღნიშნავს, ის ძლიერ ფრუსტრირებული დარჩა, რადგან გაიაზრა, რომ მისი ჩართულობა მხოლოდ მისი შშმ სტატუსისა და გუნდის „გამრავალფეროვნების“ გამო სჭირდებოდათ.

შშმ სტუდენტებთან საუბარმა აჩვენა, რომ მცირე ზომის კერძო უნივერსიტეტებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფრო სწრაფ და ქმედით ზომებს (მათ შორის ფინანსურს) იღებს შშმ სტუდენტების სოციალური ინკლუზიის მხარდასაჭერად. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თავად შშმ სტუდენტების პიროვნული მახასიათებლები და მათი ოჯახების მხრიდან მიღებული ფსიქოლოგიური თუ მატერიალური მხარდაჭერა, ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ პროცესზე.

## 5.4 უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების დამოკიდებულება შშმ პირთა სოციალური ინკლუზიისა და ინკლუზიური განათლების მიმართ

სამიზნე უნივერსიტეტის როგორც პერსონალი, ისე სტუდენტები ზოგადად მიმღებლობას ამჟღავნებდნენ შშმ სტუდენტების მიმართ. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთებოდა არაინფორმირებულობა შშმ პირთა უფლებებთან დაკავშირებით; კვლევაში ჩართული უნივერსიტეტების უმრავლესობაში, რესპონდენტები არ იყვნენ ინფორმირებულნი გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის ძირითადი ტერმინების შესახებ - მაგალითად, არ იცოდნენ (არც პერსონალმა, არც სტუდენტებმა) რა იყო „გონივრული მისადაგება“. ხშირად გვხვდებოდა, განსაკუთრებით რეგიონულ უნივერსიტეტებში, ისეთი დისკრიმინაციული ტერმინები, როგორიცაა „უნარშეზღუდული“, „გონებაშეზღუდული“, „ინკლუზიური სტუდენტი“, „მუნჯი ანბანი“. უნივერსიტეტში შშმ სტუდენტის არყოფნას ზოგიერთი უნივერსიტეტის პერსონალი მისასალმებელ ფაქტად აღიქვამდა - *„მადლობა ღმერთს,*

*უნარშეზღუდული სტუდენტი არ გვყავს“.* ზოგიერთ შემთხვევაში კი, ეს ფაქტი უნივერსიტეტის პერსონალს კანონზომიერად მიაჩნდა - *„თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხელობის შეძენა ურჩევნიათ, როგორც შეეფერებათ“.*

შშმ პირთა უფლებების მიმართ არაინფორმირებულობა გამომჟღავნდა სტუდენტების გარკვეულ ნაწილშიც (განსაკუთრებით რეგიონულ უნივერსიტეტებში). მაგალითად, დასაშვებად და მისაღებად მიაჩნდათ შშმ სტუდენტების მიმართ ისეთი ფორმის დახმარება, როგორიცაა შენობაში მისი ხელით შეყვანა ან სართულიდან სართულზე ხელით გადაადგილება. იყვნენ სტუდენტები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ უნივერსიტეტს არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა იმისთვის, რომ ერთი სტუდენტისთვის შეიძინოს ძვირადღირებული ტექნიკა ან მოაწყოს ადაპტირებული გარემო - *„დახმარება ჩვენ, სტუდენტებს შეგვიძლია, უნივერსიტეტი ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია“.* სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებთან საუბარში გაირკვა, რომ არსად არის შშმ საკითხებზე ტრენინგების ან მრგვალი მაგიდების ჩატარების გამოცდილება. რამდენიმე უნივერსიტეტში (თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი) ეს თემა ჩართული იყო ზოგადად ადამიანის უფლებების შესახებ ჩატარებულ ტრენინგებში.

აკადემიურ პერსონალთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ ლექტორს დასაშვებად მიაჩნდა დავალების ფორმის გამარტივება შშმ სტუდენტისთვის. ზოგიერთი სტუდენტის მსგავსად, მათაც მისაღებად მიაჩნდათ შშმ სტუდენტის მიმართ ისეთი დახმარების აღმოჩენა, როგორიცაა შენობაში მისი ხელით შემოყვანა - *„ჩვენ აქ ერთი დიდი ოჯახი ვართ და ერთმანეთს ვეხმარებით“,* რაც მათ პოზიტიურ დისკრიმინაციად მიაჩნიათ.

როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ისე აკადემიურ პერსონალს, უნივერსიტეტებში ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელისშემშლელ ფაქტორად მიაჩნიათ შშმ სტუდენტების ნაკლებობა. იგივე დამოკიდებულება გამოვლინდა ლექტორების მიერ ინკლუზიური განათლების მიმართ ინფორმირებულობის ამაღლების მიმართ - *„რა თქმა უნდა კარგია, როდესაც ცნობიერებას იმაღლებ, მაგრამ როცა იცი, რომ ინფორმაცია - როგორ ასწავლო, მაგალითად, უსინათლო სტუდენტს, არ გჭირდება დღეს და შეიძლება არც მომავალში დაგჭირდეს, შეიძლება არც დაგაინტერესოს“.* უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური განათლების მიმართულებით კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების უმრავლესობამ სურვილი და მზადყოფნა გამოთქვა მონაწილეობა მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობის თემატიკაზე ორიგანიზებულ ტრენინგებში; თუმცა ნაკლებად, მაგრამ მაინც იყვნენ რესპონდენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ ფაკულტეტზე მსგავსი ტრენინგების საჭიროება არ არის, რადგან ამ თემაზე პერსონალი საკმარისად არის ინფორმირებული. იმავე რესპონდენტების პასუხებში ზოგადად საგრძნობი იყო სკეპტიციზმი უნივერსიტეტში ინკლუზიური განათლების დანერგვასთან დაკავშირებით.

კვლევაში ჩართულ ყველა უნივერსიტეტში შშმ სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილება ატარებს ცალკეულ, ინდივიდუალურ ხასიათს და არ არის სისტემური.

არცერთ უნივერსიტეტში არ იდგმება გეგმაზომიერი ნაბიჯები უნივერსიტეტის ინკლუზიურობის ხარისხის გასაუმჯობესებლად - უნივერსიტეტის დოკუმენტაციასა და რეგულაციებში, უკეთეს შემთხვევაში გვხვდება მხოლოდ ზოგადი ჩანაწერები, რასაც ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. ზოგადად უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტებში ინკლუზიური განათლების დანერგვის ძირითადი მამოტივირებელი უფრო ავტორიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილებაა, ვიდრე რეალური მომზადება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების დასახვედრად. უნივერსიტეტის პერსონალთან საუბარში ხშირად გაიგონებდით ფრაზას - *„რასაც გვავალებს ავტორიზაციის სტანდარტები, ვასრულებთ“.* თუმცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-3 და მე-7 სტანდარტები, რომლებიც უნივერსიტეტში სტუდენტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილებას ეხება, მხოლოდ ნაწილობრივ და ფორმალურადაა შესრულებული; მაგალითად, მე-3 სტანდარტით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროებისა და პირობების შესახებ, მხოლოდ რესპონდენტთა ძალიან მცირე ნაწილი იყო ინფორმირებული; ხოლო მე-7 სტანდარტით გათვალისწინებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით[29], სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების თანახმად, შშმ სტუდენტებისთვის მხოლოდ ნაწილობრივ არის მისაწვდომი სასწავლო რესურსი, ისიც მათი დიდი ძალისხმევის გამოისობით. ასევე, მართალია, აქვთ წვდომა ფაკულტეტისა და უსდ-ს ადმინისტრაციასთან, როგორც ეს ავტორიზაციის მე-7 სტანდარტით არის მოთხოვნილი, თუმცა ერთ-ერთი შშმ სტუდენტის თქმით, *„ისინი გისმენენ, მაგრამ როდესაც კონკრეტული შეთავაზებით მიდიხარ, არაფერი იცვლება“.*

საჯარო უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლები საუბრობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვისთვის საჭირო ფინანსური რესურსების სიმცირეზე. ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დასანერგად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები რთულად ხელმისაწვდომია საჯარო უნივერსიტეტებისთვის. საჯარო უნივერსიტეტის რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ დაფინანსების არსებული მოდელის პირობებში, რთულად წარმოსადგენია უნივერსიტეტში ხარისხიანი ინკლუზიური განათლების დანერგვა. როგორც ცნობილია, დღეს უნივერსიტეტების დაფინანსება მთლიანად არის დამოკიდებული სტუდენტების გრანტებსა და გადასახადებზე, რაც სწავლის ხარისხს დიდ გამოწვევას უქმნის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2018 წლიდან მუშაობს უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების ახალ სისტემაზე. ასევე, დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით არაერთი კვლევა ჩატარდა, თუმცა რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა.

[29] დასახელებული სტანდარტით, „სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებსა და მოთხოვნებზე, ასევე წვდომა აქვთ უსდ-ს და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან“.

ბევრი რესპონდენტი ამახვილებდა ყურადღებას ინკლუზიური განათლების მიმართულებით უნივერსიტეტებს შორის რესურსების გაზიარების აუცილებლობაზე. ასევე, გამოიკვეთა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობის აუცილებლობა. ხშირად შესადარებლად მოყვანილი იყო სამინისტროს ჩართულობა პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვაში - ამ მიმართულებით კოლეჯების მხარდაჭერამ როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსებით, შედეგად გამოიღო პროფესიულ სისტემაში სსსმ სტუდენტების რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა. საჯარო უნივერსიტეტებში გამოიკვეთა ანალოგიური გამოცდილების გაზიარების აუცილებლობა - *„კოლეჯებს მხარს უჭერს პროფესიული უნარების სააგენტოც, თუ რამე კითხვა ან რჩევა სჭირდებათ, მათ მიმართავენ, კოლეჯებში გამოყოფილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, პირადი ასისტენტები. ასეთ პირობებში ნამდვილად უფრო მარტივია ინკლუზიური განათლების დანერგვა“.* როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, უნივერსიტეტებისთვის მხარდამჭერი იქნება ისეთი ცენტრის არსებობა, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც მატერიალური ტექნიკის „თხოვება“, ასევე კვალიფიციური რჩევების, ტრენინგებისა და საჭირო დამხმარე კვალიფიციური ადამიანური პერსონალის (მაგალითად, მობილობა ორიენტაციის სპეციალისტი, პირადი ასისტენტის) მომსახურების მიღება. უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური განათლების მიმართულებით, უნივერსიტეტებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობა თითქმის არ აქვთ, გამონაკლისია ისეთი სიტუაციები, როდესაც უნივერსიტეტები თავიანთი რესურებით შშმ სტუდენტის საჭიროების დაკმაყოფილებას ვერ ახერხებენ და დახმარებას სამინისტროსგან ითხოვენ.

## 6 ქართული და ევროპული უნივერისტეტების პრაქტიკის მიმოხილვა

ევროპული უნივერსიტეტების დიდ ნაწილში შშმ სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება პროაქტიულ და თანმიმდევრულ ხასიათს ატარებს. უნივერსიტეტების პოლიტიკა ძირითადად სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს ეფუძნება, ეყრდნობა შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციასა და მიმართულია სტუდენტების უფლებების დაცვისა და მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ. მოცემული ანგარიშის მიზნებისთვის განვიხილავთ ორი ევროპული უნივერსიტეტის, ვარშავის უნივერსიტეტისა (პოლონეთი) და პალაცკის უნივერსიტეტის ოლომოუცში (ჩეხეთი), სამუშაო გამოცდილებას. ამ უნივერსიტეტებმა შშმ სტუდენტებთან მუშაობის პრაქტიკა ქართველ კოლეგებს გაუზიარეს ერაზმუს+ პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად (CISI)“ ფარგლებში.[30] პროექტის ფარგლებში, ქართველ კოლეგებს ამ უნივერსიტეტებში ვიზიტისა და მათი მუშაობის ადგილზე ნახვის საშუალებაც ჰქონდათ.

[30] http://cisi.tsu.ge/

შშმ სტუდენტებთან მუშაობისას, ორივე ზემოაღნიშნულ ევროპულ უნივერსიტეტს ბევრი საერთო აქვს. პირველ რიგში, აღსანიშნავია თანმიმდევრული და გეგმაზომიერი მუშაობა. ორივე უნივერსიტეტში შშმ სტუდენტებთან პროაქტიულ მუშაობას სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი და ეფექტიანად მოქმედი სტრუქტურული ერთეულები განაპირობებენ. ოლომოუცის უნივერსიტეტში მოქმედებს შშმ პირთა მხარდამჭერი ცენტრი (Support Center for students with special needs)[31] - ფუნქციონირებს 1996 წლიდან; ხოლო ვარშავის უნივერსიტეტში მოქმედებს ოფისი შშმ პირებისთვის (The Office for Persons with Disabilities at University of Warsaw),[32] რომელიც 2000 წლიდან ემსახურება შშმ სტუდენტებს.

როგორც ოლომოუცის, ისე ვარშავის უნივერსიტეტი, დიდი ზომის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებია: 2023 წლის მონაცემებით, ოლომოუცის უნივერსიტეტში 21,000 სტუდენტზე მეტი ირიცხება, ხოლო ვარშავის უნივერსიტეტში - 40,000 სტუდენტზე მეტი. აქედან, ოლომოუცის უნივერსიტეტში 500-ზე მეტი შშმ სტუდენტია, ხოლო ვარშავის უნივერსიტეტში - 1000-ზე მეტი.

ორივე ევროპული უნივერსიტეტის გამოცდილება აჩვენებს, რომ შშმ სტუდენტებთან მომუშავე სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულების ამოქმედებასთან ერთად, დინამიკურად იზრდებოდა შშმ სტუდენტების რაოდენობა. მაგალითად, ოლომოუცის უნივერსიტეტში 2011 წელს 56 შშმ სტუდენტი იყო, ხოლო 2023 წელს - 583. ვარშავის და ოლომოუცის უნივერსიტეტების შშმ პირებთან მომუშავე სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულები რამდენიმე ძირითადი მიმართულებით მუშაობენ:

1. შშმ სტუდენტების მომსახურება;
2. აკადემიური პერსონალის კონსულტირება;
3. სატრენინგო მომსახურება, როგორც უნივერსიტეტის პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის;
4. შშმ აბიტურიენტებთან მუშაობა.

**შშმ სტუდენტების მომსახურება** გულისხმობს ინდივიდზე მორგებული მომსახურების გაწევას, შეზღუდული შესაძლებლობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

*<u>უსინათლო და მცირემხედველი სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია შემდეგი:</u>*

- სასწავლო მასალის მოდიფიცირება, ციფრული წიგნების ბიბლიოთეკა;
- მობილობა-ორიენტაციის ტრენინგები;
- პირადი და სასწავლო ასისტენტის უზრუნველყოფა;
- საგამოცდო მასალის უზრუნველყოფა ბრაილით და ელექტრონული ფორმატით;
- 3-D ბეჭდვის ლაბორატორია;

[31] https://cps.upol.cz/en/
[32] https://bon.uw.edu.pl/about-us/

- პორტაბელური დამხმარე ტექნოლოგიების გაქირავება;
- დამხმარე ტექნოლოგიებით სარგებლობის ტრენინგი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდის მისაწვდომობის რეგულარული შეფასება.

*ყრუ და სმენადაქვეითებული სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია შემდეგი:*

- ჟესტური თარგმანი;
- დამხმარე ლექციების ჩანაწერების გაკეთება;
- საჭირო ვიდეომასალებით უზრუნველყოფა;
- ენობრივი რედაქტორის დახმარება;
- დამატებითი გაკვეთილები უცხო ენის კურსებზე;
- დიდი აუდიტორიების აღჭურვა FM სისტემებით.

*ფიზიკური შეზღუდვის, ასევე ქრონიკული დაავადების მქონე სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია შემდეგი:*

- თანხლება სასწავლო და სხვა სახის  აქტივობებზე;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადება;
- საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტებისთვის, თვითმოვლაში დახმარება;
- ლექციებზე ჩანაწერების გაკეთებაში დახმარება;
- უნივერსიტეტში მისაწვდომი ადგილების რუკის გაკეთება;
- ტრანსპორტის მომსახურება;
- სავალდებლო სპორტული სწავლების შემთხვევაში, ალტერნატივის შეთავაზება.

*დასწავლის უნარის დარღვევის  მქონე სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია შემდეგი:*

- დასწავლის უნარის დარღვევის გამოვლენა/ფუნქციონალური დიაგნოსტირება;
- კონსულტირება სასწავლო პროცესის საორგანიზაციო საკითხებზე;
- დამხმარე სასწავლო მოწყობილობის მოხმარებასთან დაკავშირებით კონსულტირება;
- გამოცდების ადაპტირებასთან დაკავშირებით კონსულტირება;
- სპეციალური კურსები, რომლებიც ფოკუსირებულია კოგნიტურ უნარებზე;
- სტუდენტების გაძლიერება - მოტივაციური ინტერვიუების გამოქვეყნება იმ ადამიანებთან, რომლებმაც აკადემიურ წარმატებებს მიაღწიეს, დასწავლის უნართან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად.

*ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისა და აუტიზმის მქონე სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია შემდეგი:*

- ლექტორებთან კომუნიკაციაში დახმარება;
- მენტორის/ტუტორის მხარდაჭერა;
- ფსიქოლოგიური კონსულტირება;
- გამოცდების მოდიფიცირება;

- ორიენტაციის ტრენინგი;
- იმ კურსების შეთავაზება, რომლებიც ფოკუსირებულია ინდივიდუალური უნარების განვითარებაზე.

**აკადემიური პერსონალის კონსულტირება** გულისხმობს შშმ სტუდენტებთან მუშაობაში მათთვის დახმარების გაწევას. მაგალითად, ოლომოუცის უნივერსიტეტში, სემესტრის დასაწყისში სტუდენტების სიასთან ერთად, ყოველი ლექტორი იღებს კონკრეტულ რეკომენდაციებს შშმ სტუდენტის სწავლებასთან დაკავშირებით. სიაში, შშმ სტუდენტის სახელისა და გვარის გასწვრივ ჩნდება სპეციალური ნიშანი, ამ ნიშანზე დაწკაპებით იხსნება კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც შშმ პირთა მხარდამჭერი ცენტრის კონკრეტული კოორდინატორის მომზადებულია. ლექტორს შეუძლია ნებისმიერი კითხვით მიმართოს მას. აღსანიშნავია, რომ ცენტრის მითითებები სარეკომენდაციო ხასიათისაა და ლექტორს გააჩნია დისკრეცია, თავად გადაწყვიტოს მათი შესრულების საკითხი.

**სატრენინგო მომსახურების ფარგლებში,** ცენტრი ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ მოკლევადიან და გრძელვადიან ტრენინგებს სთავაზობს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს; ასევე, სტუდენტებისთვის მომზადებულია კურსები, რომლებიც სპეციალურ და ინკლუზიურ განათლებას ეხება.

**შშმ აბიტურიენტებთან მუშაობის** ფარგლებში, ცენტრის თანამშრომლები, შშმ პირებს, ვისაც სურთ მათ უნივერსიტეტში ჩაბარება, ეხმარებიან სწორი არჩევანის გაკეთებაში, აწვდიან ინფორმაციას არსებული პროგრამების შესახებ და ეხმარებიან ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

როგორც ოლომოუცის, ისე ვარშავის უნივერსიტეტში, შშმ პირების მომსახურებაზე ორიენტირებული ცენტრები უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს, რომელშიც დასაქმებული თანამშრომლები მუშაობენ სრულ ან/და ნახევარ განაკვეთზე. მაგალითად, ოლომოუცის უნივერსიტეტში შშმ პირთა მხარდამჭერ ცენტრში მუშაობს 11 კოორდინატორი, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის განსაზღვრულ ტიპზე არიან ფოკუსირებულნი:

- 1 კოორდინატორი, რომელიც ფოკუსირებულია მხედველობის დარღვევებსა და დასწავლის უნარის განსაზღვრულ დარღვევებზე;
- 1 კოორდინატორი, რომელიც ფოკუსირებულია სმენის დარღვევებზე;
- 1 კოორდინატორი, რომელიც ფოკუსირებულია გადაადგილების შეზღუდვებზე;
- 1 კოორდინატორი, რომელიც ფოკუსირებულია ენისა და მეტყველების დარღვევებზე;
- 2 კოორდინატორი, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან დასწავლის უნარის განსაზღვრულ დარღვევებზე;
- 3 კოორდინატორი, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან აუტიზმსა და ფსიქიკურ პრობლემებზე;

- 2 კოორდინატორი მუშაობს ფიზიკური კულტურის ფაკულტეტზე - ერთი სმენის დარღვევის მქონე სტუდენტებთან და მეორე - სხვა სახის დარღვეებსა და უცხოელ სტუდენტებთან.

გარდა ამისა, ცენტრის მუშაობაში ჩართულია:

- 3 ჩეხური ჟესტური ენის თარჯიმანი, რომლებსაც ემატება 12 ხელშეკრულებით მომუშავე ჟესტური ენის თარჯიმანი;
- სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი, რომლებიც მუშაობენ სასწავლო მასალის გაციფრულებაზე; საჭიროების შემთხვევაში, მათ ემატებათ 20 ხელშეკრულებით მომუშავე თანამშრომელი;
- 2 უცხო ენის მასწავლებელი - ინდივიდუალური გაკვეთილებისთვის;
- 2 მობილობა-ორიენტაციის ინსტრუქტორი;
- 2 ფსიქოლოგი - ერთი ნახევარ განაკვეთზე და ერთი ხელშეკრულებით მომუშავე;
- 3 ენობრივი რედაქტორი - ერთი ნახევარ გაანკვეთზე და ორი ხელშეკრულებით მომუშავე;
- 50 ასისტენტი - სივრცეში გადაადგილებისთვის, პირადი ასისტენტი, ლექციების ჩანაწერების გამკეთებელი და სხვ.

სტუდენტებისთვის ყველა მომსახურება უფასოა.

ორივე უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის ბიბლიოთეკების მისაწვდომობის უზრუნველყოფას, რაც შესაძლებელია მხოლოდ მათი სპეციალური ტექნოლოგიებით აღჭურვის  შედეგად. მაგალითად, ვარშავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შემდეგი ტექნიკითა და პროგრამებით:

- კომპიუტერი;
- ბრაილის პრინტერი;
- სპეციალური სკანერი, რომელიც ასკანერებს სქელ მასალას, როგორიცაა წიგნები;
- Duxbury ბრაილში გადამყვანი აპლიკაცია, რომელსაც ტექსტი გადაჰყავს ბრაილში;
- Abby FineReader Professional 10;
- 3 კაბინა აღჭურვილი წიგნის ოპტიკური სკანერით;
- კომპიუტერები AbbyFineReader12 პროგრამით, რომელიც ახმოვანებს ტექსტს;
- ბრაილის ნოუთფედი;
- ბეჭდური ტექსტის ელექტრონული გამადიდებელი.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკის თანამშრომლები გადიან რეგულარულ ტრენინგებს, თუ როგორ გააუმჯობესონ შშმ პირების მომსახურება. მუდმივი მუშაობა მიმდინარეობს ბიბლიოთეკებში არსებული ფიზიკური ბარიერების შესამცირებლად.

ზემოაღნიშნული ევროპული უნივერსიტეტების მიერ სისტემურ დონეზე, კარგად ორგანიზებული მომსახურებებიდან, ზოგიერთს ვხვდებით კვლევის სამიზნე ქართულ უნივერსიტეტებში; თუმცა თითქმის ყველა მათგანი მხოლოდ ინდივიდუალური

შემთხვევისთვის არის გათვალისწინებული და სავარაუდოდ, მისი რეპლიკაციაც კი რთული იქნება სხვა სტუდენტთან მიმართებით. უნივერსიტეტების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში არ იკითხება შშმ სტუდენტების მომსახურებების განვითარებასთან დაკავშირებული გეგმები - თითქმის ყველა ის მომსახურება, რომელსაც უნივერსიტეტი შშმ სტუდენტებს სთავაზობს, ძირითადად სპონტანურ ხასიათს ატარებს და ზოგიერთ შემთხვევაში, სტუდენტის ან მისი ოჯახის მიერ გაწეული დიდი ძალისხმევის შედეგად არის მოპოვებული. უნივერსიტეტების ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ (მაგ., სპეციალური ტექნიკის შეძენა) მიმართული ხარჯები. ამის მიუხედავად, როგორც შშმ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუები/ფოკუს ჯგუფები აჩვენებს, უნივერსიტეტების მიერ გაწეული მომსახურება მათ ბარიერების ნაწილობრივ მოხსნასა და სასწავლო პროცესში ჩართვაში ეხმარებათ.

ქართულ უნივერსიტეტებში შშმ სტუდენტების მხარდასაჭერად ვხვდებით ისეთ მომსახურებებს, როგორიცაა:

**ტრანსპორტირების ხელშეწყობა** - ზოგადად, სტუდენტების ტრანსპორტით მომსახურება გავრცელებული არ არის ქართულ უნივერსიტეტებში; კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტებიდან, სტუდენტების ტრანსპორტით მომსახურება მხოლოდ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს; თუმცა ის არ არის ადაპტირებული გადაადგილების შეზღუდვის მქონე სტუდენტებისთვის. შშმ სტუდენტების ტრანსპორტირებით ხელშეწყობის გავრცელებული პრაქტიკაა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ამ მიზნით განსაზღვრული თანხის გამოყოფა[33] - შშმ სტუდენტს ტრანსპორტირებისთვის კონკრეტული თანხა ერიცხება - თანხა განისაზღვრება სტუდენტთან მოლაპარაკების შედეგად.

**მობილობა-ორიენტაციის სპეციალისტის დახმარება** - უსინათლო სტუდენტებისთვის საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიის ათვისების მიზნით, უსინათლო სტუდენტებთან რამდენიმე უნივერსიტეტში დანერგილია პირადი ასისტენტის მუშაობის პრაქტიკა.[34] თუმცა აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში პირად ასისტენტებს მობილობა-ორიენტაციის მიმართულებით არავითარი სპეციალური მომზადება არ აქვთ გავლილი და თავად უსინათლო სტუდენტებისგან იღებენ საჭირო ცოდნასა და ინსტრუქციებს.

**სასწავლო მასალის მოდიფიცირება/გაციფრულება** - კოვიდ-19 პანდემიის პირობებში სასწავლო მასალების გაციფრულება თითქმის ყველა ქართულ უნივერსიტეტში დაიწყო, რაც მხარდამჭერი აღმოჩნდა უსინათლო სტუდენტებისთვის - გაჩნდა ლექციების აუდიოჩანაწერები, ელექტრონული სასწავლო მასალა. კვლევაში მონაწილე ზოგიერთ

[33] ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი.

[34] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტში ბიბლიოთეკების მნიშვნელოვანი ნაწილი გაციფრულებულია,[35] თუმცა მათი ფორმატი უმეტესად მიუწვდომელია უსინათლო სტუდენტებისთვის. ზოგიერთ უნვერსიტეტში არსებობს სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის გახმოვანების პრაქტიკა.[36]

**ფსიქოლოგიური კონსულტაციები** - კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების უმრავლესობაში გახსნილია სტუდენტთა ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრები.[37] უნივერსიტეტების სტუდენტებს ძირითადად სთავაზობენ მხოლოდ უფასო კონსულტაციას და არა თერაპიას, ეს კი ხშირად საკმარისი არ არის. ზოგჯერ, უფასო კონსულტირების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს თერაპიული მომსახურების მიღება შეღავათიანი ფასით შეუძლიათ.[38]

## რეკომენდაციები

### საქართველოს მთავრობას:

- დააჩქაროს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების დაფინანსების ახალი მოდელის დანერგვა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შშმ სტუდენტების სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯები.

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- ინკლუზიური განათლების მიმართულებით, კოორდინაცია გაუწიოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს შორის რესურსების გაზიარებასა და თანამშრომლობას;
- ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ქართულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, შეიმუშაოს იმ მაკოორდინირებელი ერთეულის - ცენტრის/ჰაბის მოდელი, რომელიც კოორდინაციასა და სუპერვიზიას გაუწევს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს ინკლუზიური განათლების მიმართულებით - უნივერსიტეტებს გააძლიერებს საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსებით;

---

[35] თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

[36] ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

[37] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი.

[38] საქართველოს უნივერსიტეტი.

- აქტიურად ითანამშრომლოს დონორ ორგანიზაციებთან, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების მაკოორდინირებელი ერთეულის შექმნისა და პილოტირების მიმართულებით.

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს:**

- უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს ოპერატიულად მიაწოდოს ინფორმაცია დარეგისტრირებული შშმ სტუდენტების შესახებ.

**განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას:**

- დაიწყოს ინფორმაციის დამუშავება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში შშმ სტუდენტების რაოდენობის შესახებ, მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით.

**უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციას:**

- უნივერსიტეტის სტრატეგიულ და ყოველწლიურ გეგმებსა და ბიუჯეტში რეგულარულად აისახოს უნივერსიტეტის ინკლუზიურობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ნაბიჯები;
- შეიმუშაოს იმგვარი წესები, რომლებიც შშმ პირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მარტივად და ბარიერების გარეშე გაცხადების შესაძლებლობას მისცემთ. უზრუნველყოს შშმ პირების წვდომა ამ წესებზე;
- შშმ სტუდენტის სასწავლო საჭიროებებზე დავალებებისა და გამოცდების მორგების პროცესი დაუქვემდებაროს სასწავლო რეგულაციებსა და წესებს, რაც მინიმუმამდე დაიყვანს სხვადასხვა სახის შეუსაბამო პრაქტიკას, რომელიც შშმ სტუდენტს სხვებთან არათანაბარ პირობებში აყენებს;
- პერსონალური მონაცემების დაცვით, უზრუნველყოს მონაცემთა ბაზა შშმ სტუდენტების საჭიროებების შესახებ;
- რეგულარულად ატარებდეს უნივერსიტეტის ვებგვერდისა და სასწავლო პორტალის მისაწვდომობის აუდიტს. გამოკვეთილი პრობლემების საპასუხოდ დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები;
- უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების მიმართულებით უკვე გადადგმული ნაბიჯების სისტემატიზაცია და რეგულაციებში ასახვა - გაციფრებული წიგნებისა და სასწავლო მასალების ბიბლიოთეკა, გამოცდების მოდიფიცირების მოდელები, და ა.შ.
- უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების მიმართულებით გაწეული მომსახურებების ხარისხის მონიტორინგი, მაგ., მობილობა-ორიენტაციის მომსახურება, ფსიქოლოგიური კონსულტირება და სხვ.
- გააძლიეროს მუშაობა შშმ აბიტურიენტებთან - პროაქტიულად მოიწვიოს ღია კარის დღეებზე, გამართოს შეხვედრები სკოლებში, გააცნოს აკადემიური პროგრამები - დაეხმაროს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში;

- გააძლიეროს მუშაობა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე ინფორმირებულობისა და ცნობიერების ასამაღლებლად;
- გააძლიეროს თანამშრომლობა სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან ინკლუზიური განათლების მიმართულებით რესურსების გასაცვლელად;
- დაიწყოს დისკუსია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების განვითარებისთვის საჭირო სისტემური ცვლილებების შესახებ;
- გააძლიეროს მუშაობა დონორ ორგანიზაციებთან ინკლუზიური განათლების განვითარებასთან დაკავშირებულ პროექტებზე მხარდაჭერის მოსაძიებლად;
- უზრუნველყოს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული თემატიკის ასახვა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;
- მონაწილეობა მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებში;
- სტუდენტებისთვის დანერგოს კურსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების, მათ შორის, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- გააძლიეროს  და წაახალისოს უნივერსიტეტის შშმ სტუდენტები, მათი წარმატებების სწორი და კორექტული გაშუქებით;
- მიიღოს ზომები შშმ სტუდენტთა სამეცნიერო/სახელოვნებო და სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის წასახალისებლად და ამისთვის საჭირო გარემოს შესაქმნელად;
- უზრუნველყოს შშმ სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში საკონტაქტო პირის/ერთეულის გამოყოფა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შშმ სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილების პროცესის კოორდინაციაზე და ამ მიზნით სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის ფასილიტაციაზე.

## 7 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მისაწვდომობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა უნივერსიტეტების ფიზიკური გარემოსა და სასწავლო მასალების მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მათ შორის, უსინათლო და მცირემხედველი, ყრუ და სმენის შეზღუდვის მქონე, ეტლით მოსარგებლე და სხვა დარღვევების მქონე სტუდენტებისთვის.

შემოწმების მიზანი იყო, დაედგინა, რამდენად შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულებების გარემო ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“,[39] პრინციპებსა და ამ სტანდარტით დაცულ კრიტერიუმებს.[40]

მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილდა ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, შემდეგ ელემენტებზე: შეღწევადობა; მისაწვდომი სვლაგეზები: გზა-კიბეები და სახელურები; იატაკი; კარები; საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები; პანდუსი; საევაკუაციო გზები და გასასვლელები; ტუალეტები; ლიფტები; ადაპტირება უსინათლო და მცირემხედველი სტუდენტებისთვის; ადაპტირება ყრუ და სმენის შეზღუდვის მქონე სტუდენტებისთვის; ამოცნობადი გამაფრთხილებლები; საცხოვრებელი ერთეულები.

## 7.1 **შეღწევადობა**

უნივერსიტეტების კორპუსები ნაწილობრივ არის შეღწევადი. შენობების მისაწვდომობა ძირითადად მარტივი ადაპტაციით, მხოლოდ პანდუსის მოწყობით შემოიფარგლება. ზოგიერთ უნივერსიტეტში[41] შესვლა შესაძლებელია მბრუნავი კარების, მბრუნავი ჭიშკრების, ტურნიკეტების საშუალებით, რომლებიც ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მისაწვდომ სვლაგეზის ნაწილებად არ მიიჩნევა (402.3.).[42] იმის გამო, რომ ტურნიკეტები და მბრუნავი კარი შემსვლელებს მხოლოდ ერთი მიმართულებით ატარებენ, ერთი მხრივ, ფერხდება შენობაში

---

[39] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://tinyurl.com/242tdccn>. ბოლოს ნანახია [10.01.2024].

[40] მოცემული კრიტერიუმები ადგილებს, საშუალებებს, შენობებსა და ელემენტებს ყველა კატეგორიის შშმ პირებისათვის მისაწვდომსა და გამოსაყენებელს ხდის, რათა შშმ პირს შესაძლებლობა მიეცეს დამოუკიდებლად მიუახლოვდეს, შევიდეს და გამოიყენოს ისინი.

[41] შპს საქართველოს უნივერსიტეტი; შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.

[42] რეგლამენტის თანახმად, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა მოიცავდეს ერთ ან მეტ ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტს: არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებსა და გზა-კარებს, პანდუსებს, ბორდიურის პანდუსებს გასაშლელი გვერდების გამოკლებით, ლიფტებსა და ბაქან-ლიფტებს. მისაწვდომი სვლაგეზის ყველა კომპონენტი უნდა შეესაბამებოდეს ამ სტანდარტის შესაბამის ნაწილს. სამწუხაროდ, თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები სასწავლო კორპუსში შედიან მბრუნავი კარებით, სპეციალური საშვის გამოყენებით გაივლიან ტურნიკეტებს და ისე ხვდებიან შენობაში. სტუდენტების დეკანის თქმით, მბრუნავი კარის გვერდით არის შესასვლელი ეტლით მოსარგებლე და სხვა შშმ პირებისთვის, რომლებსაც აქვთ სპეციალური საშვი. შშმ სტუმარმა უნდა შეატყობინოს დაცვის თანამშრომელს და ის გაუღებს კარს. მონიტორინგის დროს შშმ პირთა ე.წ. შესასვლელი დაკეტილი იყო. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შპს საქართველოს უნივერსიტეტის ერთადერთი შესასვლელი, რომლის გავლითაც სტუდენტები ეზოში შედიან. გარდა იმისა, რომ დაყენებულია ტურნიკეტები, მასთან მისასვლელი გზაც დეფორმირებული და ჩახერგილია. ეტლით მოსარგებლე, უსინათლო, გადაადგილების პრობლემების მქონე სტუდენტებს გაუჭირდებათ ეზოში შესვლა.

დროულად შესვლა, მეორე მხრივ კი, ევაკუაციის შემთხვევაში შეუძლებელი ხდება შენობის სწრაფად დატოვება (იხ. ფოტო №1 და №2).

ფოტო №1 (შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი).

ფოტო №2 (შპს საქართველოს უნივერსიტეტი)

ზოგიერთი უნივერსიტეტის აუდიტორიების დიზაინი ვერ უზრუნველყოფს ყველა სახის შეზღუდვის მქონე პირის სრულყოფილ წვდომას სივრცეზე. ამ კუთხით აღსანიშნავია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ამფითეატრის სტილის აუდიტორიები. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მონიტორინგის პროცესში უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციით, მათი შენობების უმრავლესობა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი ან ისტორიული შენობაა, რის გამოც შეუძლებელია მათი რეკონსტრუქცია. თუმცა არცერთ უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია საექსპერტო დასკვნა ობიექტური ტექნიკური მიზეზით შენობის ადაპტირების შეუძლებლობის თაობაზე. ამასთანავე, არ განსაზღვრულა მოქმედების ალტერნატიული საშუალებები.

უარყოფითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ არცერთი უნივერსიტეტის ვესტიბიულში[43] მისაწვდომ ფორმატში არ არის განთავსებული წარწერები და სქემები. ასევე, ეტლით

[43] ადგილი, საიდანაც სტუდენტები გადადიან აუდიტორიებში, ლაბორატორიებში, იღებენ ინფორმაციას, ელოდებიან.

მოსარგებლე პირებისთვის მიუწვდომელია საინფორმაციო ფანჯარა.[44] გარდა ამისა, არცერთ შენობაში არ არის მოწყობილი ტაქტილურ-სენსორული საინფორმაციო ტერმინალი, რომელიც უსინათლო პირებს ინფორმაციას ხმოვან რეჟიმში, ხოლო მცირემხედველებს - კონტრასტულ და გადიდებულ ფორმატში მიაწვდიდა. ამასთანავე, არ არსებობს ტაქტილური მნემოსქემა[45] უსინათლოებისა და მცირემხედველებისთვის; ასევე, სმენადაქვეითებული პირებისთვის არ არის ინდუქციური მარყუჟი[46], ხოლო ეტლით მოსარგებლეებისთვის მისაწვდომი ფორმატი.[47]

განსაკუთრებით საყურადღებოა უნივერსიტეტებში არსებული მინის კარისა და მინის ტიხრების მდგომარეობა, ვინაიდან მათზე დატანილი არ არის კონტრასტული მარკირება[48], რომელიც უსაფრთხო გარემოს ერთ-ერთი კომპონენტია. აღსანიშნავია, რომ მარკირება იცავს კონკრეტულ სივრცეში მყოფ ადამიანებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს ამ პირებისთვის. კონტრასტული მარკირება ასევე აუცილებელია მხედველობის პრობლემების, კოგნიტური დარღვევებისა და აქონდროპლაზიის მქონე ადამიანების უსაფრთხო გადაადგილებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსგან განსხვავებით, კონტრასტული მარკირების კანონით გაწერილი ვალდებულება მოქმედებს გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში.

## 7.2 მისაწვდომი სვლაგეზები; გზა - კიბეები და სახელურები

კიბეები და მოაჯირები მისაწვდომობის მნიშვნელოვანი ელემენტებია და მათი მოწყობა სრულად უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“[49] მოთხოვნებს. უნივერსიტეტების უმეტეს ნაწილში კიბის მარშის[50] საფეხურების სიმაღლის ამაღლებები და

---

[44] სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში საინფორმაციო ფანჯარასთან დევს დიდი დიამეტრის რბილი ტახტი, რომელიც მთლიანად ბლოკავს მისასვლელს.

[45] მნემოსქემა - მნემონური დიაგრამები არის სივრცეში ნავიგაციისა და ორიენტაციის საშუალება მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანებისთვის. ამ შემთხვევაში - სასწავლო კორპუსის დერეფნების, აუდიტორიების, ლაბორატორიებისა და სხვა დანიშნულების ოთახების პირობითი გამოსახვა პანელზე. მნემონური დიაგრამები ეკუთვნის ტაქტილური ხელმისაწვდომობის ელემენტების ჯგუფს.

[46] ინდუქციური მარყუჟი გადასცემს მკვეთრ და მკაფიო ხმას სიგნალის წყაროდან მომხმარებლის სმენის მოწყობილობამდე.

[47] ქვედა მენიუ-საინფორმაციო დაფა ეტლით მოსარგებლეებისთვის და აქონდროპლაზიის მქონე პირთათვის განლაგებული მინ. 800მმ - მაქს. 1000მმ სიმაღლეზე.

[48] ყველა მინის კარზე და ტიხარზე უნდა იყოს დატანილი შესაბამისი სტიკერი. ადამიანები აუცილებლად უნდა იყვნენ გაფრთხილებულები იმის თაობაზე, რომ გადაადგილების მარშრუტზე შეიძლება შეხვდეს მინის კარები/ მინის კედელი.

[49] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, ქვეთავი 504.

[50] კიბის ნაწილი ორ ბაქანს შორის, ორ და მეტსართულიან სახლებში.

საბიჯელების სიღრმეები არ შეესაბამება სტანდარტს.[51] კერძოდ, ან კიბის საბიჯელებია[52] ძალიან ვიწრო, ან საფეხურის ამაღლებები - მაღალი. მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანებისთვის კიბეებზე არ არის უსაფრთხო გადაადგილებისა და ორიენტაციისთვის საჭირო ხილვადი კონტრასტი.[53] მხოლოდ სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში გვხვდება კიბის მოაჯირები, რომლებიც აკმაყოფილებს სტანდარტის კრიტერიუმებს.[54]

ქვემოთ მოცემულ ფოტოზე (ფოტო №3) ჩანს კიბეები, რომელთა მოწყობის დროს არ არის დაცული „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ კრიტერიუმები. მათზე გადაადგილება არაკომფორტული და ჯანმრთელობისთვის საშიშია.

ფოტო №3 (სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მცირემხედველი, გადაადგილების შეზღუდვის, აქონდროპლაზიის მქონე პირების ორიენტაციისა და უსაფრთხოებისთვის, აუცილებელია დაცული იყოს ტექნიკური რეგლამენტის 505.2 ქვეთავი, რომლის მიხედვითაც კიბის სახელურები უნდა განთავსდეს კიბის ორივე მხარეს და უწყვეტად მიჰყვებოდეს კიბის მთელ სიგრძეს.[55]

---

[51] კიბის მარშის ყველა საფეხურს უნდა ჰქონდეს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები - max 180მმ- min.100მმ; საბიჯელების სიღრმე - min.280 მმ.

[52] კიბის საფეხურის ზედა ჰორიზონტალური ელემენტი.

[53] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ - 504 ქვეთავის 504.6.

[54] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, ქვეთავი 505.

[55] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, 505 ქვეთავის 505.2.

კიბის მარშის[56] თავთან სახელურები უნდა გაგრძელდეს თარაზულად ბაქნის საზღვრებში, არა უმცირეს 300 მმ-ით და უნდა იწყებოდეს ბაქნის ზედაპირიდან უშუალოდ ზემოთ. გაგრძელებები შებრუნებული უნდა იყოს კედლისკენ, მოაჯირისკენ ან ბაქნის ზედაპირისკენ, ან უწყვეტად უნდა გრძელდებოდეს მომიჯნავე კიბის მარშის სახელურამდე.

შემოწმებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კორპუსებში, სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გარდა, არ არის ერთი გზა - კიბე ან სახელური, რომელიც შეიძლება აკმაყოფილებდეს ტექნიკურ რეგლამენტს. უფრო მეტიც, ბევრი მათგანი საფრთხის შემცველია. კერძოდ, კიბის თავზე დონე მკვეთრად იცვლება, რაც დაცემისა და ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხეს აჩენს. ასევე, საფეხურებზე არ არის კონტრასტები, რის გამოც მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანებმა, შესაძლოა, ვერ განსაზღვრონ კიბის დასაწყისი ან ბოლო, ხოლო ძალიან დაბალ სიმაღლეზე გაკეთებულმა მოაჯირმა შეიძლება ვერ დაიცვას ადამიანი გადმოვარდნისგან.

## 7.3 იატაკი

„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის“ თანახმად, იატაკის ზედაპირები უნდა იყოს არასრიალა.[57] მართალია, ფილების განსაკუთრებულ სიპრიალეს ზოგიერთ სასწავლებელში სისუფთავის დაცვით ხსნიან, მაგრამ სრიალა ზედაპირი თავისთავად გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს ადამიანებისთვის. მათ შორის, წარმოიქმნება დაცემის მაღალი რისკი, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები. უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვა. გარდა ამისა, უნივერსიტეტებში გვხვდება სხვადასხვა ფაქტურისა და მასალის იატაკის საფარის კომბინაცია. ასეთ შემთხვევაში ერთი საფარიდან მეორეში გადასვლის ხაზები მკვეთრად უხეშია, იცვლება იატაკის დონეები და დაქანებები. ხშირად დონის ცვლილებები

---

[56] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, 505 ქვეთავის 505.3. 505.10.2.

[57] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, 302 ქვეთავის 302.1.

არსებობს იატაკის საფარის მოცურების კოეფიციენტი. მის დასადგენად ყველაზე ხშირად გამოიყენება გერმანული სტანდარტი DIN 51130, რომლის მიხედვითაც ყველა ზედაპირი იყოფა ხუთ ჯგუფად. ისინი განისაზღვრება იატაკის საფარის მაქსიმალური დახრილობით, რომლის დროსაც მასზე მოძრაობა საშიში ხდება.

R9: <10°.

R10: 10–19°.

R11: 19–27°.

R12: 27–35°.

R13: >35°.

ბოლო ჯგუფის იატაკის საფარი ყველაზე კარგად ეჭიდება ფეხსაცმელს, არ სრიალებს 35 გრადუსზე დახრის კუთხის შემთხვევაშიც კი და ყველაზე უსაფრთხოა.

13მმ-ზე მეტია. ამ ვითარებაში უნდა გამოიყენებოდეს შესაბამისი პანდუსი[58], ბორდიურის პანდუსი.[59]

უმაღლეს სასწავლებლებში ყურადღება  უნდა მიექცეს ერგონომიკას, კომფორტულ ფერთა გამას, რომელიც სასიამოვნოა თვალისთვის, გავლენას არ ახდენს განწყობაზე, ემოციურ მდგომარეობაზე, არ იწვევს მოუსვენრობასა და გაღიზიანებას. ამ  მხრივ, აღსანიშნავია შპს საქართველოს უნივერსიტეტის იატაკის საფარი, რომელიც, მართალია, არ არის სრიალა, მაგრამ დამზადებულია 600*600 მმ ზომის, სხვადასხვა ფერის ქეჩის ფირფიტებისგან. ასეთი ფერადი იატაკი დისკომფორტს იწვევს მხედველობის პრობლემების,  ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისა და აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანებში, ხოლო ეტლით მოსარგებლეებისთვის ქმნის დამატებით წინააღმდეგობას.

## 7.4 **გზა-კარები და დერეფნები**

შემოწმებულ უნივერსიტეტებში უმეტესად გვხვდება ხელით გასაღები ორფრთიანი და ანჯამიანი კარები. კარგ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და შპს საქართველოს უნივერსიტეტებში არსებული სარკმლიანი კარები.[60]

აუცილებელია ტექნიკური რეგლამენტის კრიტერიუმებს შეესაბამებოდეს ორფრთიანი კარების თითოეული  ფრთა.[61] ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები დარღვეულია სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტშიც, სადაც დერეფნებისა და ბიბლიოთეკის მინის კარები არ იღება 180 გრადუსით.[62]

მართალია, ტექნიკურ რეგლამენტში დერეფნები მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია და ცალკე არ არის გამოყოფილი, თუმცა პირის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არცერთი უნივერსიტეტის შენობის დერეფნის კიდეზე მოწყობილი არ არის სახელურები,  რომლებიც  უნდა შეესაბამებოდეს რეგლამენტს.[63] ასევე, დერეფნები ხშირად ჩახერგილია ქოთნის  ყვავილებითა და სხვადასხვა ტექნიკური დანადგარებით. გარდა ამისა, სტანდარტის  დარღვევის გამო, გვერდიგვერდ მყოფი კარებიდან ერთი იღება შიგნით, მეორე კი - გარეთ. დერეფანში შემოჭრილი კარი ხელს უშლის დამოუკიდებელ და უსაფრთხო  გადაადგილებას.

---

[58] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, ქვეთავი 405

[59] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, 303 ქვეთავის 303.4.

[60] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“,  შეესაბამება 404 ქვეთავის 404.2.10.

[61] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, 404 ქვეთავის 404.2- ორფრთიანი კარის ერთი  აქტიური ფრთის  ღიობი უნდა იყოს არაუმცირეს 820 მმ სიგანის.

[62] თითოეული ფრთა კარის ღერძთან ქმნის 90 გრადუსიან კუთხეს, რომელიც შეიძლება ვერ  შეამჩნიოს სტუდენტმა და ტრავმა მიიღოს.

[63] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, 403 ქვეთავის 403.6.

## 7.5 პანდუსი

მონიტორინგის პროცესში აღმოჩნდა, რომ კვლავ აქტუალურია ეტლით მოსარგებლე/გადაადგილების პრობლემების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირების ყველაზე ცნობილი ელემენტის - პანდუსის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევა ყველაზე ხშირად სწორედ ამ ელემენტთანაა დაკავშირებული. სამწუხაროდ, ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცებამდე და მისი მიღების შემდეგ გაკეთებული პანდუსები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვინაიდან დარღვეულია პანდუსის უსაფრთხოების მთავარი გარანტის - დახრილობის წესები.[64] კერძოდ, პანდუსის ქანობი[65] იზომება პროცენტულად და აქვს მკაფიო დასაბუთება. გარდა იმისა, რომ ეტლით მოსარგებლე პირისთვის ძალიან ციცაბო დაღმართზე გადაადგილება რთულია, ამან შეიძლება გამოიწვიოს ეტლის მოცურება და დაზიანებები. შემოწმებულ უნივერსიტეტებში გვხვდება პანდუსები ვიწრო, საფრთხის შემცველი ზედაპირით, ზღუდე-კიდის დაუცველად, და ხშირად საერთოდ მოაჯირების გარეშე მოწყობილი. ამასთანავე, არცერთ პანდუსს არ აქვს სტანდარტით გათვალისწინებული ბაქნები დასაწყისსა და ბოლოში.[66]

---

[64] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, ქვეთავი 405. კვლევაში ჩართულ არცერთ უნივერსიტეტში არ გვხვდება პანდუსი, სადაც დაცულია ტექნიკური რეგლამენტი:

- პანდუსის ქანობის დახრა 1:12 (405.2).
- 900 მმ თავისუფალი სიგანე (405.5).
- სახელურები (405.8).
- პანდუსის კიდეების დამცავები (405.9).

[65] დაღმართი, დაქანებული ადგილი.

[66] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“, 405 ქვეთავის 405.7.

ფოტო №4 (სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

## 7.6 საევაკუაციო გზები და გასასვლელები

შემოწმებულ უნივერსიტეტებში საევაკუაციო გზები და გასასვლელები ვერ უზრუნველყოფენ ადამიანთა სწრაფ და უსაფრთხო ევაკუაციას. კერძოდ, საევაკუაციო გზებზე გვხვდება მბრუნავი კარები, ტურნიკეტები, რომლებიც ხელს უშლიან თავისუფალ გადაადგილებას. ამ გზებზე არც სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებია განთავსებული. ამასთანავე, არ არის ხელმისაწვდომი ხანძრის ჩაქრობის ავტომატური დანადგარების, შუქისა და ხმოვანი მაუწყებლების მდგომარეობის კონტროლისა და მართვის ხელსაწყოები, მიმღებ-

მაკონტროლებელი ხელსაწყოები და ამ დანადგარების ხელის სახანძრო მაუწყებლები.[67] მართალია, შუქსიგნალი მანათობელი ნიშნების სახით არის თითქმის ყველა კორპუსში, მაგრამ მათი განთავსება არ შეესაბამება ხედვის მანძილს, მით უმეტეს მცირემხედველი ადამიანების ხედვის არეალს.

გარდა ამისა, საევაკუაციო გზებსა და გასასვლელებზე პრობლემას ქმნის სართულის აღმნიშვნელი წარწერების არასწორად განლაგება. უნივერსიტეტების უმეტეს ნაწილში ეს წარწერა დერეფანშია და არა ლიფტიდან გამოსასვლელთან. უნივერსიტეტების წარმომადგენელთა თქმით, კარებზე დატანილი წარწერები (მაგალითად, №302 აღნიშნავს მე-3 სართულს, №506 - მე-5 სართულს და ა.შ.) საკმარისია იმისთვის, რომ სტუდენტებმა გაიგონ რომელ სართულზე იმყოფებიან. ამასთანავე, წარწერები პრობლემას უქმნიან კიბის უჯრედით მოსარგებლე სტუდენტებს, ხოლო დაკვამლიანების შემთხვევაში, ძნელია მათი გარჩევა. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში გვხვდება ლიფტთან განთავსებული სართულის აღმნიშვნელი წარწერა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ შშმ სტუდენტთა ფიზიკური უსაფრთხოება დამოკიდებულია საევაკუაციო პროცესის სისწრაფეზე. მართალია, შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა“ და სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტების საევაკუაციო გზებზე არის კარი სპეციალური საკეტებით (ანტიპანიკური გამღები), რომლებიც ადვილად იღება და არ გამოიწვევს ევაკუაციის პროცესის შეფერხებას, თუმცა შეშფოთებას იწვევს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში ყველა კარის, ყველა დერეფნის სპეციალური „ჩიპებით“ ჩაკეტვა-გაღების პრაქტიკა. კრიტიკულ სიტუაციაში ამ მეთოდმა შეიძლება არ იმუშაოს და სტუდენტები, განსაკუთრებით კი შშმ პირები, ჩაკეტილ სივრცეში აღმოჩნდნენ.

## 7.7 ტუალეტები

შემოწმებული უნივერსიტეტები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ძველი და შედარებით ახალი აშენებული (შპს საქართველოს უნივერსიტეტი, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი). არსად, ე.წ. ძველ უნივერსიტეტებში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის მე-6 თავს. უფრო მეტიც, თუ უნივერსიტეტში არის ადაპტირებული ტუალეტი, მას ტექნიკური პერსონალი საწყობად იყენებს.[68] (ფოტო №5)

---

[67] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილება სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2922754?publication=1 ბოლოს ნანახია [07.02.2024].

[68] აქ ინახავენ სამუშაო იარაღებს, იატაკის საწმენდ ჯოხებს, ტილოებს, ტანსაცმელს.

ფოტო №5 (სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი)

## 7.8 ლიფტები

შედარებით ახალ უნივერსიტეტებში არის ახალი მოდიფიკაციის ლიფტები. ასევე, თითქმის ყველგან დაცულია ეროვნული სტანდარტების მე-4 ქვეთავის დებულებები. ძველი უნივერსიტეტებიდან (სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთსართულიან და სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამსართულიან კორპუსებში) ლიფტი არ არის, ხოლო სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში ლიფტი 4 სართულიდან

მხოლოდ მესამემდე ადის. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიფტი მხოლოდ შშმ პირებისთვისაა განკუთვნილი (ლიფტის ბარათი აქვთ მხოლოდ შშმ პირებს).

მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ მაშინაც კი, როდესაც უმაღლესი სასწავლებლების კორპუსებში ადაპტირების უმნიშვნელო ელემენტებიც არ არის დაცული, თითქმის ყველა „ძველ" უნივერსიტეტში დამონტაჟებულია ძვირადღირებული ე.წ. „ბაქან-ლიფტები", რომლებიც ფაქტობრივად გამოუყენებელია. ტექნიკური მიზეზების გამო ლიფტები ვერ ჩართეს ახალციხის უნივერსიტეტში (რამდენიმეა).

სსიპ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დამონტაჟებულია საკმაოდ ძვირადღირებული ბაქან-ლიფტები, რომლის ფუნქციაა შშმ პირის მაქსიმუმ 2 მეტრის სიმაღლეზე აყვანა. აღსანიშნავია, რომ ბაქან-ლიფტები თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უნივერსიტეტში იყო ჩაკეტილ მდგომარეობაში,ზოგან გასაღები ვერ მოიძებნა. ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ბაქან-ლიფტებს არ უნდა მართავდეს გამცილებელი და მათში შესვლა-გამოსვლა შესაძლებელი უნდა იყოს დაუხმარებლად.[69]

## 7.9 ინფორმაციის მისაწვდომობა

კვლევაში ჩართულ უნივერსიტეტებში აღინიშნება საკომუნიკაციო სისტემის მისაწვდომობის პრობლემა, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტექნიკური რეგლამენტის მე-7 თავის დებულებებით. ასევე არ არის ტაქტილური ნიშნები, რომლებიც უნდა მოიცავდეს როგორც ამობურცულ, ისე ბრაილის სიმბოლოებს. იშვიათია მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები. დარღვეულია სართულის აღმნიშვნელის, წარწერების, აუდიტორიის მეცადინეობის ცხრილების, მნიშვნელოვანი ობიექტებისაკენ მანიშნებლებისა და საევაკუაციო მიმართულებების სტანდარტი.

ხშირად გვხვდება დამაბრკოლებელი საგნები, რომლებიც ხელს უშლიან ინფორმაციაზე წვდომას. მაგალითად, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფოიეში რბილი მოსასვენებელი ავეჯი ხელს უშლის საინფორმაციო ცენტრის სარკმელთან მიახლოებას. გარდა ამისა, დაცული არ არის ვიზუალური სიმბოლოების განთავსების სიმაღლის სტანდარტი იატაკიდან (უმეტეს შემთხვევაში განთავსებულია ძალიან მაღლა), მაშინ როცა ტექნიკური

[69] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები", 410 ქვეთავის 410.1.

რეგლამენტის თანახმად, სიმბოლოები იატაკიდან 1000 მმ სიმაღლეზე უნდა იყოს განთავსებული.[70]

ამასთანავე, უნივერსიტეტებში დაცული არ არის სიმბოლოების მდებარეობა.[71] შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, შპს საქართველოს უნივერსიტეტსა და სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ეს პრინციპები ნაწილობრივ დაცულია, მაგრამ ყოველთვის არა.

ყველა უნივერსიტეტში ლექციებისა და ღონისძიებების ცხრილი გამოკრულია პატარა შრიფტით, რის გამოც მისი წაკითხვა პრაქტიკულად შეუძლებელია. იგივე შეიძლება ითქვას თვალსაჩინოებებსა და უნივერსიტეტების მუზეუმებში ექსპონატებთან გაკეთებულ წარწერებზე.[72]

შშმ სტუდენტებისათვის გამოწვევად რჩება ვებმისაწვდომობის საკითხიც. სამწუხაროდ, შემოწმებული უნივერსიტეტების ვებგვერდები და სასწავლო მასალები სათანადოდ არ არის ადაპტირებული. ამ მიზეზით, სტუდენტები იძულებულნი არიან სხვა პირები დაიხმარონ. ერთ-ერთ მთავარ გამოსავლად კი უნივერსიტეტის წარმომადგენლები ინფორმაციის_დიდი შრიფტით ამობეჭდვას მიიჩნევენ. აქედან გამომდინარე, საგულისხმოა, რომ უსინათლო და მცირემხედველი სტუდენტებისთვის უნივერსიტეტებში არ არის ეკრანის წამკითხველი, არც საიტებს აქვთ აუდიოაღწერილობა. ასევე არ არის სურათებისა და ვიდეოების ალტერნატიული ტექსტი. ხოლო მოტორული უნარების დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის არ არის საჭირო მოწყობილობები.[73] ყრუ და სმენადაქვეითებულ სტუდენტებს არ აქვთ სუბტიტრებისა და აუდიო და ვიდეოშინაარსის ტრასკრიპციის გამოყენების შესაძლებლობა. ამასთანავე, კოგნიტური დარღვევების მქონე სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ მეხსიერების, ყურადღების, ინფორმაციის გაგების პრობლემები, არ მიეწოდებათ ტექსტები და ინფორმაცია ადეკვატური ინტერვალის დაცვითა და მარტივი დიზაინით.

---

[70] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, 703 ქვეთავის 703.3 ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ნიშანი უნდა მდებარეობდეს კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს, ხოლო თუ კარი ორფრთიანია, ნიშანი უნდა მოთავსდეს არამოქმედ ფრთაზე. თუ ორფრთიანი კარის ორივე ფრთა იხსნება, ნიშანი უნდა მოთავსდეს მარჯვენა კარის მარჯვნივ (703.3.11).

[71] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, 703 ქვეთავის 703.3.11.

[72] სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა უნდა ჰქონდეს, არ უნდა დაიწეროს უჩვეულო ფორმით. ქუთაისის უნივერსიტეტში ქალის, მამაკაცისა და შშმ პირის საპირფარეშოებზე დატანილი ნიშნები ქართული შრიფტითაა შესრულებული, რაც ტექნიკური რეგლამენტის დარღვევაა.

[73] მოტორული უნარების დარღვევა გავლენას ახდენს იმ მომხმარებლებზე, რომელთაც მოძრაობის სხვადასხვა ფორმის შეზღუდვა აქვთ. კლავიატურის ნავიგაცია, თავსებადობა სხვადასხვა დამხმარე ტექნოლოგიებთან, როგორიცაა თავსაცვი (mouthpieces), თავის ჯადოსნური ჯოხები (head ‘magic wands’) და კონტაქტით მომუშავე მოწყობილობები, სათანადოდ ეტიკეტირებული კონტროლი და შეცდომების გასწორების მარტივი პროცესები ამ კატეგორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

## 7.10 ბიბლიოთეკების მისაწვდომობა

უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები მიუწვდომელია, რადგან არა აქვთ სპეციალური ტექნიკა. მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არის ტექსტის ელექტრონული გამადიდებელი და ისიც ბიბლიოთეკის საცავში ინახება.

არცერთი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არ არის კომპიუტერი, სადაც ჩაწერილი იქნება ხმოვანი პროგრამა უსინათლო სტუდენტებისთვის, ასევე არ არის ბრაილის პრინტერი, ბრაილის სკანერი და სხვა ტექნიკა.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტების უმრავლესობის წარმომადგენლებს არ აქვთ ინფორმაცია, რას ნიშნავს სასწავლო მასალის ადაპტირება, არ იცნობენ თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებსა და ტექნოლოგიებს, რომლებიც შექმნილია სპეციალურად შშმ სტუდენტებისათვის. ასევე, უსინათლო და მცირემხედველ სტუდენტებს არ შეუძლიათ თავისუფლად ისარგებლონ სპეციალური ტექნიკური საშუალებებით. მაგალითად, ის ტექნიკური საშულებები, რასაც ვხვდებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებში, შეძენილია არა სტუდენტებისთვის, არამედ სპეციალური სასწავლო კურსებისთვის და უსინათლო სტუდენტებისთვის მიუწვდომელია.[74]

## 7.11 სასწავლო მასალების ადაპტირება უსინათლო და მცირემხედველი სტუდენტებისთვის

მისაწვდომობა და უნივერსალური დიზაინის პრინციპები მოითხოვს შშმ პირთა თანასწორობისა და სასწავლო პროცესის მისაწვდომობის უზრუნველყოფას. არცერთი უნივერსიტეტი არ ფლობს ინფორმაციას სასწავლო მასალების უსინათლოთათვის ადაპტირების თანამედროვე მოთხოვნებზე, მეთოდებსა და ტექნიკურ საშუალებებზე. გარდა ამისა, არცერთი უნივერსიტეტის ვებგვერდი არ შეესაბამება სტანდარტებს, მათზე მხედველობის შეზღუდვისა და კოგნიტური დარღვევების მქონე მომხმარებლების სრულყოფილი წვდომისთვის, საჭიროა მათი მისაწვდომობის გაუმჯობესება.

უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების ფონდში აქვთ სასწავლო ლიტერატურა ელექტრონულ ფორმატში, თუმცა უფრო აქტუალურია ციფრული ფორმატი, რომელშიც ლიტერატურის გადაყვანა მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდება. სხვა უნივერსიტეტებში მასალის გაციფრულებას ეძახიან სულ სხვა პროცესს. კერძოდ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის ხმის ჩამწერი სტუდია, სადაც სახელმძღვანელო აუდიოფორმატში იწერება. სახელმძღვანელოებს ახმოვანებენ სტუდენტები. ხმის ჩამწერი სტუდია აქვს შპს საქართველოს უნივერსიტეტსაც, მათივე განცხადებით, მიმდინარეობს ბიბლიოთეკის გაციფრულების პროცესი.

[74] ინფორმაცია გადამოწმებულია და დადასტურებულია ამ უნივერსიტეტების მიერ.

## 7.12 სასწავლო მასალის და გარემოს ადაპტირება ყრუ და სმენის პრობლემების მქონე სტუდენტებისთვის

არცერთ უნივერსიტეტში არ გვხვდება სმენადაქვეითებულ პირთათვის მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო. უნივერსიტეტები არ არის ადაპტირებული ყრუ და სმენის შეზღუდვის მქონე სტუდენტებისთვის. აუდიტორიები არ არის აღჭურვილი FM სისტემებით, რაც სმენადაქვეითებულ სტუდენტებს ლექციების მოსმენას გაუადვილებდა.

უსინათლო სტუდენტების მსგავსად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებული ტექნიკა განკუთვნილია სპეციალური სასწავლო კურსებისათვის და ყრუ სტუდენტებისათვის მიუწვდომელია.

## 7.13 ამოცნობადი გამაფრთხილებლები

კვლევაში ჩართულ უნივერსიტეტებში არ გვხვდება ამოცნობადი გამაფრთხილებლები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური რეგლამენტის 705-ე ქვეთავს. ელემენტები, რომლებიც ხელს უნდა უწყობდნენ სსსმ პირთა, განსაკუთრებით უსინათლო და მცირემხედველი სტუდენტების უსაფრთხო გადაადგილებას, ადაპტირების ყველაზე ცუდ პრაქტიკად გვევლინება. თითქმის არსად არ არის გამოყენებული ამოცნობადი გამაფრთხილებლები დანიშნულების მიხედვით.[75] მათ ნაცვლად მოწყობილია ე.წ. ტაქტილური ბილიკები, რომლებსაც არ ითვალისწინებს ტექნიკური რეგლამენტი.

## 7.14 სპორტული ობიექტები

ადაპტირებული და ბარიერებისგან თავისუფალი გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ხელმისაწვდომი სპორტია, რომელიც შშმ სტუდენტების ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს ხდის. სპორტს შშმ სტუდენტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი აუმჯობესებს საერთო ფიზიკურ ფორმას, ფიზიკურ ჯანმრთელობას, სივრცეში ორიენტაციის დამოუკიდებლობას, ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, სოციალურ შესაძლებლობებსა და ურთიერთობებს. გარდა ამისა, სპორტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წარმატებული ინსტრუმენტია აკადემიური მოსწრების ამაღლებისთვის და ის შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ადამიანების ინკლუზიისთვის. ამასთანავე, უნივერსიტეტები უნდა განიხილებოდეს ინკლუზიური სპორტული პროგრამების პოტენციურ ცენტრებად, სპორტული დარბაზებითა და სტადიონებით.

[75] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, ქვეთავი 705.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ შშმ სტუდენტებისათვის ადაპტირებული სპორტული ობიექტები არ აქვს არც ერთ შემოწმებულ უნივერსიტეტს. უფრო მეტიც, ბევრ მათგანს საერთოდ არ აქვს სპორტდარბაზი ან, თუ აქვს, გაქირავებულია.[76]

## 7.15 საცხოვრებელი ერთეულები[77]

უნივერსიტეტების მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ სტუდენტური საცხოვრებლები აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს. ძირითადად ეს არის იზოლირებული ერთადგილიანი ოთახები, დამოუკიდებელი, ადაპტირებული სველი წერტილით.

აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი კორპუსები სასწავლო კორპუსებიდან საკმაო მანძილითაა დაშორებული (გარდა ზუგდიდისა) და არცერთ მათგანთან არ მიდის ადაპტირებული ტრანსპორტი.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გარდა, ეროვნულ სტანდარტს არ შეესაბამება საცხოვრებლებთან მისაწვდომი სვლაგეზები.[78] მათ შორის გვხვდება ტურნიკეტი (სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი),[79] კიბეები და კიბის მოაჯირები, არ არის სტანდარტის შესაბამისი. ხოლო, პანდუსები არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტის კრიტერიუმებს.

შენობის შესასვლელები არ არის მკაფიოდ მონიშნული. ასევე, მთელ ტერიტორიაზე არ არის საკმარისი რაოდენობის კონტრასტული, შესაბამისი შრიფტით დაბეჭდილი აბრები.[80]

სტუდენტური საცხოვრებლების კორპუსებში (გარდა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისა) არ არის ლიფტი, ამიტომ ეს ოთახები განლაგებულია პირველ სართულზე. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ორსართულიან ადმინისტრაციულ კორპუსს აქვს ბაქან-ლიფტი, დარღვეულია კიბის სტანდარტი.[81] კერძოდ, კიბის სახელურები კიბის მარშს ბოლომდე არ მიუყვება, სახელურებს არ აქვს მომრგვალებული დაბოლოებები. არსად სტუდენტური საცხოვრისების კიბეებზე არ

---

[76] ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი.

[77] საცხოვრებელი ერთეულები და საძინებელი ერთეულები უნდა იყოს მისაწვდომი ტექნიკური რეგლამენტის - „უსაფრთხოების ეროვნული სტანდარტის“ მიხედვით და აკმაყოფილებდეს მე-11 თავის შესაბამის დებულებებს.

[78] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, ქვეთავი 401.

[79] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, 402 ქვეთავის 402.3 - მბრუნავი კარები, ჭიშკრები და ტურნიკეტები არ უნდა იყოს მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილი.

[80] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“- ქვეთავი 700.

[81] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“, ქვეთავი 504.

არის დატანილი ხილული კონტრასტი.[82] შშმ პირებისათვის  გამოყოფილ ოთახებთან არის ადაპტირებული ტუალეტები და საერთო სარგებლობის  სარეცხი ერთეულები.

სამზარეულოები მოწყობილი არ არის შშმ პირთა მოთხოვნების გათვალისწინებით.[83] ნიჟარების, საჭმლის მოსამზადებელი ზედაპირების ცენტრში, ღუმელთან პარალელურად  არ არის გათვალისწინებული თავისუფალი სივრცე.

## 7.16 **პარკირება**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის პროცესში შემოწმდა შშმ პირთათვის უნივერსიტეტების ავტოსადგომების მისაწვდომობის საკითხი. კერძოდ, მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებისა“[84] და „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“[85] მოთხოვნებთან. საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოვითხოვეთ სასწავლო დაწესებულებებიდან.

ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ავტოსადგომები უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისაწვდომი სივრცეებით.[86]

შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტების[87] ავტოსადგომებზე ძირითადად არის მისაწვდომი სივრცეები, რომლებიც აკმაყოფილებენ ტექნიკური რეგლამენტის კრიტერიუმებს.  ზოგიერთ  უნივერსიტეტს[88] საერთოდ არ აქვს მისაწვდომი ავტოსადგომი.

რამდენიმე უნივერსიტეტში[89] ტექნიკური რეგლამენტი დარღვეულია და არ აქვთ ადაპტირებული  ავტოსადგომების  საკმარისი რაოდენობა.

---

[82]„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“, ქვეთავი 504.6.

[83] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“, 104 ქვეთავის 104.14.

[84] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება - ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე, დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176389>

[85] ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“.

[86] №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის ქვეთავი 1106.

[87] სსიპ ქუთაისის  საერთაშორისო  უნივერსიტეტში 23 ადგილიდან - 1 შშმ პირთათვის; სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 20 ადგილიდან - 1 შშმ პირთათვის; ახალქალაქში (სამცხე - ჯავახეთის უნივერსიტეტის ერთ-ერთი კორპუსი) 10 ადგილიდან - 1 შშმ პირთათვის, რაც შეესაბამება სტანდარტს.

[88] მაგ., სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

[89]  სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 200 ადგილიდან  - 1 შშმ პირთათვის (უნდა იყოს - 6);  სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 113 ადგილიდან - 3 ადაპტირებული (უნდა იყოს 5).

მონიტორინგის პროცესში კარგი პრეცედენტი დაფიქსირდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ადაპტირებული ავტოსადგომების რაოდენობა მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებით დადგენილზე მეტია.[90]

უნივერსიტეტებში, შშმ პირებისთვის გამოყოფილი საპარკინგე სივრცეები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“[91] მოთხოვნებს. სივრცეები ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს, რომელიც ავტომობილის მთელ სიგრძეზე  გრძელდება; საპარკინგე სივრცის ზედაპირები ასევე შესაბამება სტანდარტს;[92] სივრცის ამოსაცნობად საჭირო ნიშნები შეიცავენ მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოს.[93] თუმცა უნივერსიტეტებში არსებულ ავტოსადგომებზე არ გვხვდება ეკრანები და საინფორმაციო პანელები, ელექტრომობილების დამტენი სადგურები.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტებში მონიტორინგის ვიზიტების დროს ყველა ადაპტირებული ავტოსადგომი თავისუფალი იყო.

**რეკომენდაციები**

**უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციას:**

- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია ყველა სახის შეზღუდვის მქონე პირს მათთვის გასაგებ ფორმატში მიეწოდებოდეს;
- შშმ სტუდენტების საზოგადოებასა თუ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სრულყოფილი ჩართვისთვის, უზრუნველყოფილი იქნას სტუდენტთა სასწავლო  და საცხოვრებელ გარემოზე სრულყოფილი წვდომა;
- სასწავლო და საცხოვრებელ სივრცეში განთავსდეს კომფორტული და შშმ პირებზე მორგებული ფუნქციონალური/მოსასვენებელი ავეჯი (მაგიდა, სკამები), რომლის რეგულირება შესაძლებელი იქნება საჭიროების შემთხვევაში;
- კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ან/და ისტორიული შენობების ადაპტირების შეუძლებლობა დადასტურდეს შესაბამისი საექსპერტო დასკვნით და ამავე დროს, განისაზღვროს მოქმედების ალტერნატიული საშუალებები;
- მინის კარებსა და მინის ტიხრებზე დატანილი იქნას უსაფრთხო გარემოს შექმნის ერთ-ერთი კომპონენტი - კონტრასტული მარკირება;
- უნივერსიტეტები და განსაკუთრებით, ბიბლიოთეკები აღიჭურვოს შესაბამისი ტექნიკა/პროგრამებით  უსინათლო  და  მცირემხედველი  შშმ  სტუდენტებისთვის

[90] სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 135 ადგილიდან - 9 ადაპტირებული.
[91] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, ქვეთავი 501; 502;
[92] „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, ქვეთავი 302.
[93]„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, ქვეთავი 703.6.3.1.

(კომპიუტერი შესაბამისი ხმოვანი პროგრამით; ბრაილის პრინტერი-ტექსტური ინფორმაცია; ამკინძავი; Duxbury Braille Translator; Abby FineReader Professional 10-პროგრამული უზრუნველყოფა; წიგნების ოპტიკური სკანერი; Braille notepad-წიგნაკი ტექსტის ბრაილის შრიფტით ჩასაწერად; Elektronic magnifier for reading print-ბეჭდური ტექსტების გამადიდებლები);

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალში განხორციელდეს ე.წ. ,,ტაქტილური ელემენტის" დემონტაჟი.